პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური & თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოები
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი. რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კ. ქალაქს გარეშე—95 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ განცხადებანი: მომპარველის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

— დაიხურა მუშკორთა და სოფლის კორესპონდენტთა საკავშირო ყრილობა.

— ამ დღეებში მოელიან სუნ-იატ-სენის ჩასვლას პეკინში.

— სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი რომიდან პარიზში ჩავიდა.

— მძიმე ავად გახდა შვეციის [illegible] მენშევიკი ბრანტინგი.

— გარდაიცვალა ბელგიელი [illegible] დამბლონი.

— გუშინ ვალუტის ანგარიშში ინგლისმა ამერიკას გადაუხადა 92 მილიონი დოლარი.

სამშაბათი, 16 დეკემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 287 (1142)

ტრედიუნიონების დელეგაციის გამოსვლების გამო

მეორე ინტერნაციონალის პრესა შეშფოთდა, მას მოსვენება დაეკარგა იმ განცხადებების გამო, რომელიც გააკეთა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციამ ამხ. პერსელის თავმჯდომარეობით.

შეშფოთდა ბურჟუაზიაც, რომლის წარმომადგენლები ინგლისში და სხვა ქვეყნებშიც მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის საწინააღმდეგო იერიშებისთვის ემზადებიან.

საერთაშორისო ბურჟუაზია და მისი მოსამსახურე მეორე ინტერნაციონალი, კარგათ გრძნობენ იმ საფრთხეს, რომელსაც მათ უმზადებს ტრედიუნიონების მიერ თქმული სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ და აგრეთვე პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისთვის მიღებული ზომები. და მართლაც რომ საფუძვლიანია მათი შიში.

ინგლისის ტრედიუნიონები უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ვიწრო, ყოველდღიურ პროფესიონალურ საკითხებში იყვნენ ჩაფლული და შორს იდგენ რევოლიუციონური მოძრაობის პერსპექტივებისაგან. ისინი ამსტერდამის ინტერნაციონალის მთავარ დასაყრდენს და საიმედო ძალას წარმოადგენდენ, ისინი ყოველთვის გაურბოდენ ბურჟუაზიასთან რევოლიუციონურ-კლასობრივი ბრძოლის წარმოებას. ინგლისის ბურჟუაზიაც უკანასკნელ დრომდე არავითარ საფრთხეს არ მოელოდა და მოსვენებულად გრძნობდა თავს.

დღეს კი ამ ბურჟუაზიის სულიერი სიმშვიდე დაირღვა. ინგლისის ტრედიუნიონებში ახალი ხმები გაისმა, მისმა მემარცხენე ფრთამ თანდათან უფრო მეტად გაბედული რევოლიუციონური ენით დაიწყო ლაპარაკი. საფიქრებელი და მოსალოდნელია, რომ ეს რევოლიუციონური საფრთხე უფრო გაიზრდება საბჭოთა კავშირიდან ინგლისში ტრედიუნიონების დელეგაციის დაბრუნების შემდეგ.

იმ განცხადებების მიხედვით, რომელიც დელეგაციამ გააკეთა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში, უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაფთრებული ცილისწამების და სიცრუის კამპანიას ამიერიდან აღარავითარი გასავალი აღარ ექნება ინგლისის და ევროპის მუშათა კლასში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტსი“-მა ეჭვი შეიტანა პერსელის განცხადების სინამდვილეში, რომელიც მან გააკეთა მოსკოვში ჩამოსვლის დროს. „ფორვერტსი“ სიყალბეს უწოდებდა გაზეთებში მოთავსებულ ანგარიშს პერსელის სიტყვის შესახებ. მაგრამ „ფორვერტსი“-ს სამწუხაროთ ამხ. პერსელმა წერილობითად დაადასტურა თავისი განცხადების სინამდვილე.

ამის შემდეგ ბურჟუაზია და მისი მიმყოლი მეორე ინტერნაციონალი კიდევ უფრო მეტი საშიშროების წინაშე დადგნენ და, ისინი ყოველი საშუალებებით ცდილობენ პერსელის და მისი ამხანაგთა განცხადებების გაბათილებას. კონსერვატორები ერთერთი ბელადი დელეგაციის განცხადებას და ტრედიუნიონების პოზიციას ამხ. ზინოვიევის წერილის შესახებ სთვლის პროფკავშირების საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეებში ჩარევათ, მის უფლებათა მითვისებათ და მოითხოვს რეპრესიებს ტრედიუნიონების წინააღმდეგ.

ლონდონის გაზ. „დეილი-ნიუზი“-ც შეშფოთებულია იმ წითელი საფრთხით, რომელიც იზრდება ინგლისის მუშათა პარტიაში. გაზეთის აზრით ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მოსალოდნელია ინგლისის მუშათა მოძრაობის ძირითადი საფუძვლების შერყევა. გაზეთს აშინებს აგრეთვე ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის მთლიანობის აღმდგენი კომიტეტის დაარსება, რომელსაც ის კომუნისტების ძალდატანებით ხსნის. შეიძლება ეს წერილი ნაკარნახევი იყოს ინგლისის მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთის მიერ, მაგრამ ტრედიუნიონების დელეგაცია თავის მხრივ თანდათან უფრო მეტ გაბედულებას იჩენს და საყურადღებო განცხადებებს აკეთებს.

ლენინგრადის პროფკავშირების კრებაზე ამხ. პერსელი აცხადებს, რომ ინგლისის მუშები საბჭოთა კავშირის მუშების მაგალითს მიბაძავენ, წავლენ მათი გზით. „დადგა მომენტი როდესაც საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია უნდა მოეწყოს ანტი-კაპიტალისტური გაერთიანების პრინციპზე. ინგლისის პროფმოძრაობა ამ მხრივ მზად არის წავიდეს საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან ერთად. თუ ამსტერდამი არ წავა ამ გზით, მუშათა დიდი მოძრაობა წალეკავს მის ზღუდეებს“. ეს მეტად საყურადღებო და ისტორიული განცხადებაა ამხ. პერსელის, რომელიც თვითონ ითვლება ამსტერდამის ინტერნაციონალის ლიდერათ.

მეტად სიმპტომატიურია, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წელში ამსტერდამის ინტერნაციონალის ლიდერი და კონსერვატიზმით განთქმული ტრედიუნიონის დელეგაციის თავმჯდომარე ასეთ განცხადებას აკეთებს. ეს ნიშნავს იმ ბრძოლის სრულ გამართლებას, რომელსაც აწარმოებდა კომუნისტური პარტია საერთაშორისო მენშევიზმის წინააღმდეგ, ეს ნიშნავს, რომ კლასობრივ-პროლეტარული თვალსაზრისი ფეხს იკიდებს, ძლიერდება რეფორმისტულ იდეებზე აღზრდილ მუშათა კლასის ხელმძღვანელთა წრეებშიც, ეს ნიშნავს რომ ევროპის უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნის — დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასი აპირებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადებას.

იგივე პერსელი აცხადებს შემდეგს: „ჩვენ ვუამბობთ ჩვენს ამხანაგებს იმ სასწაულზე, რომელიც თქვენ მოახდინეთ და ისინი დაიჯერებენ რომ ასეთივე სასწაული მათაც შეუძლიათ მოახდინონ. ჩვენ მთელ ჩვენ ენერგიას მოვანდომებთ მუშათა მთლიანი ფრონტის განხორციელებას“.

ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციის ასეთი განცხადებები მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია განსაკუთრებით დღეს, როდესაც ინგლისის კონსერვატიული წრეები გაფთრებულ კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ტრედიუნიონების დელეგაციის განცხადებები დიდათ შეუშლიან ხელს კონსერვატორთა შავ ზრახვების განხორციელებას. დელეგაცია ამცნობს ინგლისის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ და ცხადია რომ მუშათა კლასი აღარ გაიზიარებს ბურჟუაზიის შეხედულებებს, არ წავა იმის გზით, და ის პირიქით საბჭოთა კავშირის ერთგულ და საიმედო დამცველათ გამოვა.

ყოველივე სიმართლე, რომელიც კი ითქმება საბჭოთა კავშირის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას და ჩვენი მოწინააღმდეგეთა ბანაკის დამსხვრევას.

ამ სიმართლეს ამცნობს ინგლისის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია.

საბჭოთა სასამართლოს დაახლოვებისათვის გლეხობასთან

იმ ღონისძიებათა შორის, რომელნიც მიმართული არიან საბჭოთა ხელისუფლებასა და გლეხობას შორის კავშირის უფრო განმტკიცებისაკენ, სასამართლო ორგანოების დაახლოვებას შრომელ მასსასთან, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

დღემდე ამ მხრივ მდგომარეობა არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. სახალხო სასამართლოები არსებობენ მაზრების მხოლოდ რამოდენიმე პუნქტში, რომელთაგან მრავალი თემი და სოფელი საკმაოდ დიდი მანძილით არიან დაშორებული. მათი ქსელის გასაფართოვებლად ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება არც მომზადებული მუშაკები, არც საშუალებანი.

დღეს გლეხს უხდება ზედმეტი დროის დაკარგვა, ენერგიის დახარჯვა, ხარჯების გაწევა სასამართლოში ამა თუ იმ საქმეზე გამოსაცხადებლად. გლეხს კი ჩვეულებრივ ხშირად აქვს დამოკიდებულება სასამართლოსთან ან თავისი პირადი საქმის გამო, ან როგორც სხვის მიერ დასახელებულ მოწმეს, ან როგორც სახალხო მსაჯულს. ხდება ისიც, რომ სასამართლოს სხდომა დანიშნულ ვადაზე არ შესდგება სხვადასხვა მიზეზების გამო და გლეხს ამაოდ ჩაუვლის დროის გაცდენა და შრომა.

გლეხობაში იქმნება ერთგვარი შთაბეჭდილება ხალხიდან საბჭოთა სასამართლოს და მისი ორგანოების მოწყვეტის შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოება. საბჭოთა სასამართლო ნამდვილი სახალხო, მშრომელთა სასამართლოა, რასაც მოწმობს, სხვათა შორის, მასში მშრომელთა წარმომადგენლების, სახალხო მსაჯულების მონაწილეობა. მაგრამ სახალხო მსაჯულები არ არიან ნივთიერად უზრუნველყოფილი თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს. წინააღმდეგ არსებული წესებისა, მათ ფაქტიურად ხშირად არ ეძლევათ კუთვნილი გასამრჯელო და ბინა. მათი ამ მხრივ დაკმაყოფილება კი ევალებათ ადგილობრივ აღმასკომებს. ეს მუშაობის ხალისს უკარგავს სახალხო მსაჯულებს.

ცაკის ცირკულიარული მიმართვა, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში, მიზნად ისახავს ყველა ამ ნაკლულევანებათა აღმოფხვრას.

„აუცილებლად საჭიროა, რომ სახალხო სასამართლოებმა სისტემატიურად მოაწყონ ხოლმე სესიები თემებსა და სოფლებში“,—ვკითხულობთ ამ ცირკულიარში.

ეს უეჭველად მეტად მნიშვნელოვანი ზომაა, ამ გზით გლეხობას ასცდება ყველაფერი ის, რაზედაც ზევით ვლაპარაკობდით, — ზედმეტი დროს გაცდენა, ხარჯების გაღება, შრომის გაწევა. გლეხი დაიკმაყოფილებს თავის სამოსამართლო მოთხოვნილებებს, ასე ვსთქვათ, თავის სახლკარის წინ.

სასამართლო საქმეების გარჩევა ადგილობრივ, უშუალო და განუწყვეტელი კავშირის გაბმა მოსამართლესა და გლეხობას შორის ხელს შეუწყობს პროლეტარულ სამართლის შეგნების განვითარებას და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას სოფლად, ხელს შეუწყობს საბჭოთა ხელისუფლების და გლეხობის უფრო დაახლოვებას.

ამასთან ცირკულიარი ავალებს ადგილობრივ აღმასკომებს — ყოველმხრივ დაეხმარონ მართლმსაჯულების ორგანოებს სესიების მოწყობაში, მისცენ მათ მიმოსვლის საჭირო საშუალება და გამოუნახონ სესიებს შესაფერი სადგომი.

აღმასკომებს აგრეთვე ევალებათ მისცენ სახალხო მსაჯულთ დაწესებული გასამრჯელო.

ყველაფერი ეს წვრილმანი არავის ეგონოს. ნაჩვენებ ღონისძიებათა სისწორით განხორციელებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა გლეხობის ცხოვრებაში. პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ აღნიშნულ ზომების გასატარებლად და საბჭოთა სასამართლოს გლეხობასთან უფრო მეტი დაახლოვებისათვის.

უცხოეთის პრესა

გერმანელი ჟურნალისტი საქართველოს შესახებ

სიმართლე ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის, კერძოდ აგვისტოს ავანტიურის შესახებ გზას იკვლევს ევროპაში და ამსხვრევს მენშევიკების და მათი დამხმარე რეაქციონური ძალების მიერ უხეიროთ შეკოწიწებულ ჭორების ნეხვულას.

მკითხველი უკვე იცნობს ამას წინედ ჩვენში ჩამოსულ, ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის განცხადებას, რომელიც არის შედეგი ადგილობრივი მდგომარეობის უშუალო და მიუდგომელი გაცნობის. პერსელის დელეგაციის დასკვნა, როგორც ვიცით, სრულებით არ გავს იმას, რასაც ავრცელებს ჩვენს შესახებ ევროპის ბურჟუაზიული და „სოციალისტური“ პრესა. ის ლახვარსა სცემს ყოველი ჯურის ჭორიკანებს.

დღეს ჩვენ გვინდა გავაცნოთ მკითხველს ერთი ბურჟუაზიული ჟურნალისტის აზრი ამავე საკითხზე. გერმანულ ბურჟუაზიულ გაზეთ „ბერლინელ ტაგებლატ“-ში მოთავსებულია პაულ შეფერის წერილი საქართველოს შესახებ. შეფერი იყო ჩვენში ა. წ. სექტემბრის შუა რიცხვებში, ე. ი. მენშევიკური ავანტიურის დროიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ.

ვისი იმედი ჰქონდათ „აჯანყების“ მეთაურებს?

შეფერი ამბობს:

„არასოდეს არ მოხდებოდა აჯანყების ცდა ინგლისის და საფრანგეთის დახმარების იმედის უქონლად, რომელ დახმარებაზე სულელურ ხმებს ავრცელებდნენ ყველგან და გემშეწონილად. ამ დახმარებაზე მენშევიკური ელემენტი ამ ჟამად ლაპარაკობს ღრმა მწუხარებით“.

ჩვენ ვიცით, რომ „აჯანყება“ მოწყობილი იყო ევროპის იმპერიალისტების კარნახით რომლებსაც უნდოდათ იგი თავიანთი შავი მიზნებისათვის გამოეყენებიათ. მაგრამ მათ „გადამწყვეტ“ მომენტში აღთქმული დახმარება ვერ აღმოუჩინეს მენშევიკებს. და ამ უკანასკნელებს სხვა რაღა დარჩენოდათ, თუ არ „ღრმა მწუხარების“ გამოთქმა.

ევროპაში ხმას ავრცელებდნენ „საყოველთაო გრანდიოზულ სახალხო აჯანყებაზე“ ჩვენში.

„ნამდვილად კი,—ამბობს შეფერი,—მთელი აჯანყება შესდგებოდა ზოგიერთი ადგილობრივ „გამოსვლებიდან“ და გაგრძელდა მხოლოდ 2 ნახ. დღე“.

რანაირი იყო მენშევიკური „აჯანყების“ შინაარსი და მიზნები, ვინ მეთაურობდა მას?

„აჯანყების ხელმძღვანელები იყვნენ თავადები,—მეფის დროის „მუნდირებში“ გამოწყობილნი და მეფის ორდენებით „მკერდ დამშვენებულნი“; სასულიერო პირები და ვაჭრები, რომელნიც სახელმწიფო კონკურენციამ უსაქმოდ დასტოვა... აჯანყების მიზნები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოაშკარავდნენ სენაკში, სადაც, ქალაქის აღების რამოდენიმე საათის შემდეგ, აჯანყების ხელმძღვანელებმა დაიბრუნეს და გაინაწილეს ურთიერთ შორის ქონება და მიწები.

უნდა აღინიშნოს შემთხვევები, როცა თვით გლეხები, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლებისაგან ანგარიშის გასწორებას თავადებთან და მათი დამქაშებთან“.

შემდეგ შეფერი იძლევა პასუხს იმ კითხვაზე, თუ რა შედეგები მოყვებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას ჩვენში:

„რო მოეხერხებიათ თანამედროვე სამხრეთ კავკასიიდან კომუნისტური ხელისუფლების განდევნა, რო ყველაფერი ის, რასაც ავრცელებდა სიცრუის უსირცხვილო აგენტურა გერმანელი ხალხის საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად? მათთვის ყოველივე,—ეს იქნებოდა ნაბიჯი წინ რომელიმე საერთაშორისო კომბინაციის გასამარჯვებლად კავკასიაში, ხალხთა ლიგის მონაწილეობით ან მის გარეშე. ეს სრულებით არ მოუტანდა ქართველ ხალხს რაიმე სარგებლობას. ეს იქნებოდა კიდევ ერთი ნაბიჯი მსოფლიოს გასაყოფად ვერსალის გამარჯვებულთა მიერ“.

წინააღმდეგ მენშევიკური ჭორებისა, თითქო ხალხი მხარს არ უჭერდეს საბჭოთა მთავრობას, შეფერი, როგორც მიუდგომელი მეთვალყურე, სულ სხვა დასკვნამდე მიდის:

„... ეჭვს გარეშეა, რომ რევოლიუციონერმა მიდგომამ მიწების გაყოფისადმი და მთავრობის მძლავრმა მისწრაფებამ ფართე საადგილმამულო რეფორმებისადმი,—მენშევიზმის უსამართლობის და უნიათობის შემდეგ,—შექმნეს მტკიცე კავშირი გლეხობასა და მთავრობას შორის“ და შემდეგ:

„...მე ვფიქრობ, რომ კომუნიზმს ყავს თავის მხარეზე ახალი მომავალი თაობის უმეტესი ნაწილი (როგორც მთელ საბჭოთა კავშირშიც) და გარდა ამისა მოზარდი თაობის საუკეთესო ნაწილი“.

საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის საფუძველს აგრეთვე შეადგენს ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრა:

„გარდა გლეხობის განთავისუფლებისა, მთავრობამ განამტკიცა თავისი ძლიერება ნაციონალური საკითხის გადაჭრით. ავტონომიური რესპუბლიკების შექმნა საქართველოს ტერიტორიის შიგნით. ტომობრივი თავისებურებათა მიხედვით, არის ყოველ მხრივ ინტერნაციონალური ნაბიჯი. ჩემი აზრით, ნაციონალური პოლიტიკა ამ ოლქების მიმართ შეიძლება იმუშად და გაკვეთილად გამოდგეს დასავლეთ-ევროპის ხალხებისათვის“.

შეფერი აღნიშნავს აგრეთვე განათლების საქმის გაუმჯობესებას ჩვენში:

„სკოლების რიცხვი 21 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა. ყველა სკოლებში მე შევამჩნიე მუშაობა და დისციპლინა. ყველგან ბლომადაა ძველი სასკოლო მუშაკები, რომელნიც სავსებით დგანან ახალი ხელისუფლების მხარეზე“.

ყველა თავისი შთაბეჭდილებიდან პაულ შეფერი მიდის გარკვეულ დასკვნამდე:

„კომუნისტურმა თეორიამ მისცა საქართველოს ცოცხალი პრაქტიკული მაგალითი და საქართველოს განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მარტო ესლანდელი რეჟიმის დროს. ევროპას არა აქვს უფლება გასწიროს ქართველი ხალხის მშვიდობიანობა და სისხლი ცრუ „ჰუმანიტარული“ მოტივებით, ან ხალხთა ლიგისათვის სალაყბოდ ტემის მისაცემად“.

ყველაფერ ამას ამბობს ბურჟუაზიული ჟურნალისტი, რომელმაც თავისი თვალით ნახა ჩვენი ქვეყანა მენშევიკური ავანტიურის შემდეგ. ჩვენმა სინამდვილემ და უბრალო პატიოსნებამ აიძულეს იგი ეთქვა ეს სიმართლე.

„სოციალისტები“ კი! მათ რომ არ გააჩნიათ ასეთი პატიოსნება, ჭეშმარიტების აღიარების ასეთი უნარიც, როგორიც ამ შემთხვევაში გამოიჩინა ბურჟუაზიულმა ჟურნალისტმა! ბონკურების, რენოდელებისა და კომპანიისათვის ეს იქნებოდა თავისი გაკოტრების საჯარო დადასტურება და კომუნისტური რეჟიმის წინაშე წამოჩოქება! მათ უმჯობესათ მიაჩნიათ ბოლშევიკების მიერ „დამონებულ“ საქართველოსათვის „თანაგრძნობის“ გამოცხადებით თავიანთი საგრძნობლად შერყეული პოლიტიკური კარიერის განმტკიცება!

„ინგლისის მუშები წავლენ რუსეთის მუშების გზით“

„მუშათა მოძრაობა გადალახავს ამსტერდამის მიერ შექმნილ ზღუდეებს“

„ინგლისის პროფმოძრაობა მზად არის წავიდეს საბჭოთა პროფმოძრაობის გზით“

„რუსეთის მუშებმა დაამტკიცეს, რომ მუშებს შეუძლიათ ქვეყნის მართვა-გამგეობა“.—პროფკავშირთა საკავშირო საბჭომ სალამი გაუგზავნა ინგლისის პროლეტარიატს.—„ინგლისის მუშათა კლასი ამიერიდან გაიგებს სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ“. საბჭოთა ნავთს დიდი გასავალი აქვს ოსმალეთში.—საბჭოთა კავშირის საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა უცხოეთის ბაზარზე.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის განცხადება

ლენინგრადი. 15 დეკემბერი. ინგლისის დელეგაციას, რომელიც გამოცხადდა ლენინგრადის საგუბერნიო საბჭოს პლენუმზე, აღფრთოვანებით შეხვდენ პლენუმის ყველა მონაწილეები.

ტომსკიმ გააკეთა მოხსენება ერთიან ფრონტის შესახებ. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ევდოკიმოვმა, რომელმაც განაცხადა:

„ომის სიმშილის, სიცივის და კონტრრევოლიუციის აურაცხელ მსხვერპლთა საფლავების წინაშე ვეუბნებით ჩვენს ძვირფას სტუმრებს,—დეე მათ გადასცენ თავიანთ ამხანაგებს, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერი იმ მუშების ხელშია, რომლებიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ რევოლიუციის მონაპოვარს. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისელი ამხანაგები შინ დაბრუნების შემდეგ მოუთხრობენ თავიანთ ამხანაგებს სიმართლეს რუსეთის მუშათა მოძრაობის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ამ სიმართლისათვის მათ თავს დაესხმიან მუშათა კლასის გამცემლები“.

პერსელის გამოსვლას პლენუმი მქუხარე ოვაციებით ეგებება.

„ინგლისში“, ამბობს პერსელი, „სრულიად უკუღმართი წარმოდგენა შეიქმნა რუსეთის მუშების შესახებ. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ცდილობს შთააგონოს ინგლისის მუშებს, რომ რუსეთის მუშა—ეს რაღაც საშინელებაა, რომ ყოველ შემთხვევაში ის არა ჰგავს ადამიანს. ინგლისის დელეგაცია მიზნად ისახავს სისწორით გაეცნოს ინგლისის მუშებს საბჭოთა კავშირის ნამდვილ მდგომარეობას. თქვენი მაგალითით ინგლისის მუშები გაიგებენ, რომ საჭიროა თქვენი გზით სიარული. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ინგლისში და ყველა ქვეყნებში მოხდება დიდი ცვლილებები. დადგა მომენტი, როდესაც მუშათა ორგანიზაცია უნდა გარდაიქმნას ანტი-კაპიტალისტურ გაერთიანების პრინციპის მიხედვით. ინგლისის პროფმოძრაობა მზადაა ამ მხრივ იაროს საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან ერთად. თუ ამსტერდამი არ წავა ამავე გზით, მაშინ უდიდესი მუშათა მოძრაობა გადალახავს ყოველგვარ ზღუდეს. არც ერთ კლასს კაცობრიობის ისტორიაში არ შეეძლო გადაელახა ის სიძნელენი, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა გადალახა. ჩვენ მოუთხრობთ ჩვენს ამხანაგებს იმ სასწაულის შესახებ, რომელიც თქვენ მოახდინეთ და ისინიც დაიჯერებენ, რომ ასეთივე სასწაულის მოხდენა მათაც შეუძლიათ. მთელ ჩვენს ენერგიას მოვახმართ მუშათა ერთიან ფრონტის განხორციელების საქმეს.

შემდეგ ბრამლი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დელეგაციამ მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ თავისუფლების გრძნობა სჭარბობს ყველგან. რუსეთის მუშების უდიდესი ადმინისტრატიული უნარი და სამეურნეო წარმოებანი ყველაზე უკეთესად ამტკიცებს, რომ მუშებს შეუძლიათ თვითონ განაგონ ქვეყანა.

პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ლენინგრადის პროფკავშირები ესალმებიან სრულიათ საკავშირო პროფკავშირთა 6-ე ყრილობის გადაწყვეტილებას მსოფლიო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის დამყარების შესახებ. რეზოლიუციის მიღების დროს დამსწრენი მღეროდენ „ინტერნაციონალს“.

სალამი ინგლისის პროლეტარიატს

მოსკოვი. 15 დეკ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გაუგზავნა გამგზავრებელ დელეგაციას მისალმება ტომსკის ხელისმოწერით. ამ მისალმებაში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგებო! თქვენ ყურადღებით შეისწავლეთ ჩვენი ყოფა-ცხოვრება, ჩვენი დაწესებულებათა მუშაობა, საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობა, მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრების პირობები, მისი ორგანიზაციების მდგომარეობა. ეს გვაიძულებს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყროთ თქვენ ავტორიტეტულ შეფასებას როგორც ჩვენ მიღწევათა ისე ნაკლულოვანებათა შესახებ. ყოველი წარმატება ჩვენი მუშათა მასების მეცადინეობის შედეგია. თავიანთი ძალებით მემამულეების და კაპიტალისტების დახმარების გარეშე, ისინი აწარმოებენ ბრძოლას ყველა ფრონტებზე და გამოიყვანენ ქვეყანას სიმშილობიდან სამეურნეო ნგრევიდან და გაუნათლებლობიდან.

მთელი ეს მუშაობა შესრულებული იქნა იმ საშინელ სიცრუის და ცილისწამების კამპანიის პირობებში, რომელსაც ჩვენი კლასობრივი მტრები ავრცელებდენ ყველა ქვეყნებში. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია თქვენ მიერ თანაგრძნობის გამოცხადება და ჩვენი წარმატებათა ღირსეული შეფასება, თქვენი მეგობრული რჩევა ამა თუ იმ ნაკლის შესახებ.

თქვენ ჩამოსვლას ჩვენს ქვეყანაში ეძლევა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. თქვენი სახით ჩვენ ვხედავთ ინგლისის მუშათა მასების სულიერ განწყობილების გამოხატულებას, იმ მასების, რომელნიც გამსჭვალული არიან სიმპატიებით რუსეთის მუშებისადმი.

ჩვენ ვიცით, რომ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელსაც თქვენ იტყვით ინგლისში, გაფთრებული განგაშით შეხვდება ბურჟუაზიული პრესა. მისი რისხვა მიმართული იქნება არა მარტო ჩვენ—საბჭოთა კავშირის მუშების წინააღმდეგ, არამედ, თქვენს წინააღმდეგაც, რადგანაც გაბედეთ სიმართლის თქმა საბჭოთა კავშირის შესახებ. გახსოვდეთ, რომ ძნელ წუთებში თქვენს მხარეზე იქნებიან საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი მუშურ-გლეხური მასები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვის ძვირფასი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გაერთიანების საქმე განხორციელებული იქნება ახლო მომავალში გაერთიანებული ძალ-ღონით.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო და მასში გაერთიანებული მუშების [illegible] გთხოვთ გადასცეთ ინგლისის პროლეტარიატს ჩვენი მხურვალე ძმური სალამი და უსურვოთ მათ წარმატება მუშაობაში“.

გერმანია არჩევნების შემდეგ

მთავრობას დაეძებენ

ნაუენი. 15 დეკ. კანცლერ მარქსისა და ნაციონალისტების ლიდერების მოლაპარაკების დროს არ გარჩეულა საკითხი ახალ კაბინეტის შედგენის შესახებ. მარქსმა განაცხადა მხოლოდ, რომ განზრახვა აქვს გადადგეს ორშაბათს. ცენტრის ფრაქციის პრეზიდიუმმა პრუსიის ლანდტაგში გამოსთქვა სურვილი—შესდგეს პრუსიაში დიდი კოალიციური მთავრობა ნაციონალისტების მონაწილეობით, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი გამოარკვევენ თავიანთ პოზიციას ეროვნულ თანასწორობის საკითხის შესახებ. გაზ. „გერმანია“ იუწყება, რომ გერმანიის სახალხო პარტიას განზრახვა აქვს კანცლერის პოსტზე კანდიდატათ წამოაყენოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი—იარესი.

ნაუენი. 15 დეკ. კანცლერ მარქსთან საუბრის დროს სოციალ-დემოკრატების ლიდერებმა განაცხადეს, რომ ახალი მთავრობის შედგენა მათ აღელვებთ მხოლოდ მაშინ, თუ მარცხნივ მოხდება გადახრა. ამასთან ხაზგასმით განუცხადეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რეიხსტაგს სოციალ-დემოკრატი დეპუტატები სასტიკ ოპოზიციას გაუწევენ მთავრობას.

ნაუენი. 15 დეკ. როგორც ბერლინიდან იუწყებიან — რეიხსტაგის ყოფილმა თავმჯდომარემ ლებემ ბრესლაუს სოციალისტურ გაზეთ „ბრესლაუერ ფოლკსვახტის“ თანამშრომელს განუცხადა, რომ ბურჟუაზიული ბლოკი დიდ საშიშროებათ გადიქცევა ევროპის მშვიდობიანობისთვის და ხელს შეუშლის როგორც გერმანიის ეკონომიურ აღორძინებას, აგრეთვე უცხოეთში რაიმე კრედიტის მოპოვებასაც. ეს ბლოკი გადაიქცევა სასტიკ შინაურ ბრძოლის დასაწყისათ და გამოიწვევს როგორც შინაურ პოლიტიკურ კრიზისს, აგრეთვე საგარეო გართულებასაც.

„ხელშეუხებლობა“

ბერლინი. 12 დეკემბ. საქსონიის ლანდტაგმა დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლება წაართვა კომუნისტ დეპუტატს შნელერს. უკანასკნელ არჩევნებში შნელერი არჩეულ იქნა რეიხსტაგის დეპუტატად.

მაკდონალდი და „ზინოვიევის წერილი“

მოსკოვი. 14 დეკემბერი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციას გაუგზავნა ღია წერილი, რომელიც ეხება „ზინოვიევის წერილს“ ს. რ. პ. ც. ს. წერილში ნათქვამია: „თქვენ მიერ მოხდენილმა კვლევა-ძიებამ დაგარწმუნათ თქვენ იმაში, რომ „ზინოვიევის წერილი“ ყალბია. თქვენი ავტორიტეტული დასკვნის შემდეგ ეს საკითხი საბოლოოთ გადაწყვეტილია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ მაკდონალდის უცნაურ გამოსვლაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისის ახალი პარლამენტის გახსნის დროს.

მაკდონალდი ბელადია მუშათა პარტიის, რომელშიაც შედიან ინგლისის პროფკავშირები. ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეუძლია მაკდონალდს ყურადღება არ მიაქციოს ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლების ავტორიტეტულ განცხადებას? გთხოვთ, ამხანაგებო, მიიღოთ ყველა ზომები, რომლებსაც თქვენ საჭიროთ დაინახავთ, რომ სავსებით გაამუქოთ ეს საკითხი ინგლისის პროლეტარიატის წინაშე“.

წითელი დროშა ჩვენი საელჩოს შენობაზე პარიზში

პარიზი. 14 დეკემბერი. კვირას საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაზე აღმართული იქნა წითელი დროშა. შლიაპნიკოვისა და საელჩოს პერსონალის გარდა, ზეიმს დაესწრენ რაკოვსკი, სკობელევი, მოსკოვის საბჭოს დელეგაცია როგოვის თავმჯდომარეობით, მისია, რომელიც მიემგზავრება ბიზერტაში ვრანგელის მიერ წაყვანილ გემების მისაღებათ, პარიზის საბჭოთა კოლონიის წარმომადგენლები და ზოგიერთი ფრანგი კომუნისტები.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვა კრასინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეხლა თითქმის ყველა ქვეყნები სცნობენ საბჭოთა კავშირს; იგი იცნო საფრანგეთმაც კი, რომელიც აქამდე რუსეთის რევოლიუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო, საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ საბჭოთა ხელისუფლების დიდი გამარჯვებაა. დასასრულ კრასინმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის მუშებს, გლეხებს და მთავრობას.

ბურჟუაზიას ეშინია

ლონდონი. 13 დეკემ. „დეილი ნიუზი“ ათავსებს წერილს: „წითელი საშიშროება მუშათა პარტიისათვის“. ამ წერილში აღნიშნულია, რომ მოსკოვიდან ინგლისის დელეგაციის დაბრუნება მუშათა პარტიის წინაშე დააყენებს პრობლემას, რომელიც ძირიან-ფესვიანად შეარყევს მუშათა მოძრაობას. წერილში მოყვანილია ბრომლეის განცხადება მაკდონალდის და სნოუდენის შესახებ და პოლიციის ანგარიშები ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის მთლიანობის კომიტეტის დაარსების შესახებ, გაზეთი სწერს: „პერსელმა განაცხადა მოსკოვში, რომ ამ კომიტეტის დაარსება უნდა იქნას დადასტურებული პროფკავშირთა კონგრესის გენერალურ საბჭოს მიერ. ეს პირობა უეჭველია [illegible], როგორც სჩანს, ეს აიხსნება კომუნისტ-ლიდერების სურვილით აიძულონ პერსელი და მისი ამხანაგები მტკიცეთ დაიჭირონ ის, რასაც ისინი რევოლიუციონერ მოვალეობას უწოდებენ“.

შესაძლოა, რომ ეს წერილი, როგორც მთელი რიგი სხვა წერილებისა, რომელიც იბეჭდებოდა ამას წინად ლიბერალურ პრესაში, ნაკარნახევია მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთის მიერ.

ურთიერთობა ჩინეთთან

პეკინი. 14 დეკემბერი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარის დროს, კარახანმა განაცხადა: „საბჭოთა მთავრობას იურიდიული დამოკიდებულება აქვს ჩინეთის ეხლანდელ მთავრობასთან. საკითხი ამ უკანასკნელის ცნობის შესახებ არც კი ყოფილა აღძრული“.

შემდეგ კარახანმა აღნიშნა, რომ დიპლომატიური კორპუსი ჩინეთში აქამდი განაგრძობს საერთაშორისო უფლების ელემენტარული ნორმის დარღვევას და სრულიად უკანონოთ აფერხებს საბჭოთა კავშირის ელჩის შესვლას დიპლომატიურ კორპუსში.

დასასრულ კარახანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა ელჩი მხარს დაუჭერს დუან-ძი-ჟუის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჩინეთის შინაური მდგომარეობის განმტკიცება და საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება.

საბჭოთა ნავთი ოსმალეთში

ოდესა. 15 დეკ. უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა ნავთის ექსპორტი ოსმალეთში. ოსმალეთის ვაჭრები აცხადებენ, რომ საბჭოთა ნავთი ხარისხით უფრო უკეთესია ამერიკულზე და უფრო იაფი ჯდება.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა

მოსკოვი. 14 დეკემბ. საკონსერვო მრეწველობის ბიუროს ცნობით, საზღვარგარეთ და განსაკუთრებით გერმანიაში დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირში დამზადებულ თევზის და ხილის კონსერვებისადმი. ამის გამო საკონსერვო მრეწველობა აფართოებს წარმოებას საზღვარგარეთულ ბაზრების დასაკმაყოფილებლად. [illegible] ბოსტნეულობის კონსერვები იგზავნება გერმანიაში და საფრანგეთში, თევზის—ინგლისში და გერმანიაში.

მენშევიკების ნამდვილი სახე

სოციალ-დემოკრატები თავს იმართლებენ.

ბერლინი, 13 დეკემბ. სასამართლოს დღევანდელ სხდომაზე, რომელზედაც ირჩეოდა საქმე ებერტის შეურაცყოფის შესახებ, ჩვენებას იძლეოდა ებერტზე თავდასხმის მთავარი ინიციატორი—კლოტცი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი და პროფესიონალური მოძრაობის ლიდერი. ამ ჟამათ კლოტცი რედაქტორობს ნაციონალისტების მემარჯვენე ფრთის ორგანოს „ნაციონალ პოსტ“-ს.

კლოტცი სასტიკათ ილაშქრებს ებერტის, ნოსკეს, ბაუერის და სხვა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. სხვათა შორის, კლოტცი ამტკიცებს, რომ 1918 წელში ნოსკე სცდილობდა გაფიცვა მოეწყო სენნიკის სამხედრო ქარხნებში. თავის გასამართლებლათ წარმოთქმულ გრძელ სიტყვაში ნოსკე აცხადებს, რომ იმ დროს მას სრულებით საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა, იგონებს ბრანდლერის და ჰეკკერტის გამოსვლებს ხემნიცში და დამახასიათებლათ სთვლის იმას, რომ ამ საკითხისათვის კენჭის ყრა, რომელიც შეეხებოდა გაფიცვის გამოცხადებას ხემნიცში, გადადებული იყო იმ დრომდე, სანამ არ ჩაიშლებოდა ბერლინის საგაფიცვო მოძრაობა.



„პატიოსანი გერმანელი“
გერმანიის პრეზიდენტი—მენშევიკი
ებერტი.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის მრეწველების სურვილი.

ლონდონი, 15 დეკემბ. კონსერვატორ-ფაბრიკანტების ერთი ჯგუფი გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ გამოაქვეყნოს ინგლისის წარმომადგენლის მოხსენებები საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე გაგზავნოს საბჭოთა კავშირში სპეციალური კომისია „იქ მდგომარეობის მიუდგომლად შესაფასებლად". ამ წინადადებას იძლევა ფაბრიკანტების ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით.

ჩვენი ბეწვეული ამერიკაში.

ნიუ-იორკი, 15 დეკემბ. „ამტორგმა" ერთ ამერიკელ ფირმას მიჰყიდა საბჭოთა კავშირში შეძენილი ბეწვეული ღირებული ერთ მილიონ დოლარათ.

გომპერსის გარდაცვალების გამო.

ნიუ-იორკი, 15 დეკემბ. გომპერსის გარდაცვალების გამო, ამერიკის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ გომპერსი იყო მშრომელთა მტერი. ის შეურიგებელი მტერი იყო საბჭოთა კავშირის და ერთგულად ემსახურებოდა ამერიკის იმპერიალიზმს. გომპერსის უკანასკნელ დანაშაულს მუშების წინააღმდეგ წარმოადგენდა მისი ცდა ხელი შეეშალა მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისათვის, რისთვისაც სურდა შესვლა ამსტერდამის ინტერნაციონალში, რომ ხელი შეეშალა მისთვის პროფინტერნთან გაერთიანებაში.

ებერტის შეურაცხყოფის საქმე სასამართლოში.

ბერლინი, 15 დეკემბ. ებერტის ადვოკატი სოციალ-დემოკრატი გეინე შეეცადა დაემტკიცებია ებერტის დამსახურება გაფიცვის ლიკვიდაციის საქმეში.

მეტად საინტერესოა იმპერიის დროის სამხედრო მინისტრის შტეინის და გენერალ გრისბერგის ჩვენება.

შტეინმა განაცხადა: 1918 წ. იანვარში ჩემთან გამოცხადდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებული და მთხოვა აეკრძალა მელითონეთა კრება, რადგან ამ კრებაზე მუშათა მასების რადიკალური ფრთა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა პატრიოტულად განწყობილ სოციალ-დემოკრატებს.

შტეინმა სოციალ-დემოკრატების თხოვნით აკრძალა მელითონეთა კრება.

მოწმე იგონებს, რომ შეიდემანმა ამის შემდეგ სასტიკად გაილაშქრა მის წინააღმდეგ გაფიცვის გამო.

გენერალი გრისბერგი ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკამ სთხოვა მას დაეპატიმრებია „ვიდა ცქალი, სახელდობრ როზა ლიუქსემბურგი", რომელიც დაპატიმრებულ იქნა.

შემდეგ მოწმე აღშფოთებით განაგრძობს: „როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როცა ებერტის რესპუბლიკამ სასტიკად გაილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ ლიუქსემბურგის დაპატიმრების გამო".

სოციალ-დემოკრატი ლანსბერგი, რომელიც გრძნობს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოწმის ჩვენებას, რომ როზა ლიუქსემბურგი დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნით, ცდილობს მნიშვნელობა დაუკარგოს გრისბერგის ჩვენებას.

ყოფ. კანცლერი ფერენბახი (კათოლიკი) და ყოფ. მინისტრი გრენერი ამტკიცებენ, რომ სოციალ-დემოკრატები და კერძოთ ებერტი ყოველთვის უდიდეს პატრიოტიზმს იჩენდა.

კითხულობენ ჰინდენბურგის ჩვენებას. ჰინდენბურგი უწოდებს ებერტს „პატიოსან გერმანელს".

მექსიკის პრეზიდენტი

მილოცვა კაიესს

მოსკოვი, 15 დეკ. 12 დეკემბერს თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა მექსიკის პრეზიდენტი ელიას კაიესი. ამის გამო სრულიად საკავშირო ცაკ-ის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა მას გაუგზავნა მისალოცი დეპეშა, რისთვისაც კაიესმა მადლობა გამოუცხადა ცაკ-ს.

—

ელიას კაიესი, რომელსაც მექსიკაში უწოდებენ „მექსიკელ ლენინს" ამ რამოდენიმე თვის წინად იქნა არჩეული პრეზიდენტად. ის მემარცხენე პარტიების წარმომადგენელია და ითვლება საბჭოთა კავშირის მეგობრად.



ელიას კაიესი
მექსიკის პრეზიდენტი

ესტონეთის ამბების გარშემო

პოლონეთის ჯალათების სიხარული.

ვარშავა. 13 დეკ. გამოქვეყნებულია პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშის სრული ტექსტი, რომელიც გაეგზავნა ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს. დეპეშაში ნათქვამია: „გიცხადებთ რა თანაგრძნობას იმ დანაკლისის გამო, რომელიც ესტონეთს მიადგა შეთქმულების ლიკვიდაციის დროს, პოლონეთის მთავრობა ყველა მეგობრებთან ერთად გამოსთქვამს სიხარულს შეთქმულების ლიკვიდაციის გამო".

პასუხისმგებელია ესტონეთის მთავრობა.

მოსკოვი. 15 დეკ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ექიმებმა გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია ესტონეთში ექიმ პოლიაკოვის დახვრეტის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია: „ვსთვლით რა უაღრესად აღმაშფოთებელ სიმკაცრეთ და გაუმართლებელ ფაქტად დახვრეტას ექიმისას, რომელიც საექიმო დახმარებას უწევდა ამა თუ იმ მოწინააღმდეგე მხარეს და აღშფოთებული ვართ რა ესტონეთში ექიმ პოლიაკოვის მხეცურად დახვრეტით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი კულტურული კაცობრიობის წინაშე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ესტონეთის მთავრობას".

ბელგიის რევოლიუციონერის გარდაცვალება

პარიზი. 16 დეკ. ბრიუსელში გარდაიცვალა ბელგიის მუშათა მოძრაობის ცნობილი მოღვაწე დამბლონი. დამბლონი იყო ბელგიის მუშათა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი. ამ პარტიის საერთო გადახრის მიუხედავათ, მან შეინარჩუნა რევოლიუციონური ტრადიციები და უკანასკნელ ხანებში მეთაურობდა პარტიის მემარცხენე ფრთას. ის არ ფარავდა თავის აღფრთოვანებას ლენინით და ოქტომბრის რევოლიუციით. დამბლონი ხშირად აქებდა ბელგიის კომპარტიის რევოლიუციონურ ბრძოლას, რის გამო მუშათა პარტიის ხელმძღვანელი რეფორმისტული ორგანო პარტიიდან გამორიცხვით ემუქრებოდა.

დამბლონი სარგებლობდა უდიდესი პოპულიარობით ლიეჟის რაიონის მუშათა შორის, რომლებიც 30 წლის განმავლობაში ირჩევდნენ მას დეპუტატათ.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი. 14 დეკემბერი. მოგვყავს დაწვრილებითი ცნობები კომუნისტური დეპუტატების გამოსვლის შესახებ საფრანგეთის პარლამენტში; კომუნისტურმა დეპუტატებმა მონაწილეობა მიიღეს კამათში, რომელიც შეეხებოდა საკითხს რეპრესიების შესახებ კომუნისტების წინააღმდეგ.

კომუნისტურმა დეპუტატმა ბურლუამ, ლენინის სკოლის მსმენელმა, განაცხადა, რომ მემარცხენე ბლოკის მთავრობა ისეთივე [illegible] და ბეცია, როგორც ნაციონალური ბლოკის მთავრობა. ბურლუამ კითხვა დაუსვა მთავრობას: ნუ თუ მუშა-კომუნისტებს უფლება არ აქვთ დარჩენ საფრანგეთში.

ბურლუას შემდეგ გამოსულმა დორიომ განაცხადა, რომ კომინტერნი დაიბადა ბრძოლაში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ვერ ითმენენ მუშები. მუშებს სურთ [illegible] ერთდაიმავე ღონისძიებისათვის. კომუნისტურ პარტიას მტკიცე კავშირი აქვს მუშათა კლასთან; ის მოწყალებისთვის არ მიმართავს სხვა და სხვა მინისტრებს, როგორც ამას სჩადიან სოციალისტები.

პასუხი გასცა რა სოციალისტ მორელს, დორიომ განაცხადა, რომ პროლეტარიატის მიერ ძალდატანების მეთოდების გამოყენება გარდაქმნის გზაზე დამდგარ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში სრულიად კანონიერია. რეაქციამ თავი წამოყო კომუნიზმის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მუშათა კლასი, რომელიც დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში, არ დანებდება.

კომუნისტური მოძრაობა არა თუ არ მცირდება, როგორც ამას ამტკიცებენ სოციალისტები, არამედ კიდევ უფრო ფართოვდება, რადგან მასში [illegible]

მუშკორების და სოფლის კორესპონდენტების თათბირი

ამხ. ულიანოვას საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 14 დეკ. დასრულდა სრულიად საკავშირო მუშკორების და სოფლის კორესპონდენტების თათბირი. თათბირის დახურვისას თავის საბოლოო სიტყვაში ულიანოვა უკეთებს ჯამს შესრულებულ მუშაობას.

მიიღო რა მხედველობაში წარსული გამოცდილება კორესპონდენტთა მოძრაობაში, თათბირმა გარკვეულათ გაითვალისწინა მოძრაობის საორგანიზაციო მხარე, ბოლო მოუღო იმ საკითხის გაურკვევლობას, რომელიც შეეხებოდა კორესპონდენტთა მოძრაობის დაკავშირებას პარტიასთან და უფრო სისწორით განსაზღვრა მუშაობისა და მიმართულების ხაზი კორესპონდენტ მშრომელთა კულტურულ დონის ასაწევად.

თათბირზე სოფლის კორესპონდენტების მონაწილეობის ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ პრესაში ჩაბმულია სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების მქონე გლეხთა ფართო წრეები — ახალი მებრძოლები ახალ-ყოფა-ცხოვრებისათვის სოფლად.

თათბირმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას მუშაობა სამხედრო-კორესპონდენტების, ახალგაზრდა და ქალ-კორესპონდენტებს შორის. ქალების მონაწილეობა უნდა იყოს რაც შეიძლება ფართო ადგილობრივ მამაკაც-კორესპონდენტთან საერთო მუშაობაში.

თათბირმა მუშკორების და სოფლის კორესპონდენტების ყურადღება შეაჩერა შრომის ნაყოფიერების აწევის საკითხზე, რომელიც ითვლება მნიშვნელოვან მომენტად სოფლის და ქალაქის დაკავშირების საქმეში.

ულიანოვა ბოლოს უსურვებს კორესპონდენტთა მოძრაობას გაფართოებას და განმტკიცებას მშრომელთა მასებს შორის.

ამერიკული საფეიქრო ფირმის წარმომადგენელი თბილისში

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკის უდიდესი ფირმის „ჩარლზ-ვებ-ფილადელფია"-ს, (რომლის ხელშიაც არის მთელი ამერიკის მატყლის წარმოების 70 პროც.) წარმომადგენელი მეველი. ფირმის წარმომადგენელმა მეველმა წინადადება მისცა სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატს, რომ მას შეუძლია მიაწოდოს სინდიკატს 40 მილიონის მატყლი მერინოსისა გრძელ ვადიანი სესხის სახით.

საფეიქრო სინდიკატსა და ფირმა „ჩარლზ-ვებ-ფილადელფია"-ს წარმომადგენელს შორის სწარმოებს მოლაპარაკება.

მეველი მოლაპარაკებას აწარმოებს აგრეთვე ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან ამ უკანასკნელისაგან გაზაფხულისა და შემოდგომის ნაკრეჭი მატყლის შეძენის შესახებ. ამ მატყლს ამ ჟამად საბჭოთა კავშირის ბაზარზე გასავალი არა აქვს.

საქართველოდან მეველი მიემგზავრება ბუხარაში.

რემედასის კვირეული საქართველოში

რემედას-ის საქართველოს ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

თანახმად რემედას-ის საქართველოს კონფერენციის დადგენილებისა ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ჩატარებულ იქნეს 1925 წლ. 1—7 იანვრამდე რემედას-ის კვირეული.

საბჭოთა რუსეთში ეს კვირეული უკვე ჩატარდა ა—წ. დეკემბრიდან. ცენტრალურმა კომიტეტმა გადასდო ამ კვირეულის ჩატარება 1 იანვრისათვის, რომ შესძლებოდა მოგვცემოდა გვესარგებლებია ს. ს. რ. კ-ში ჩატარებულ კომპანიის გამოცდილებით. ამჟამად რემედას-ის მუშაობას როგორც ს. ს. რ. კ-ში ისე საქართველოში უნდა მიეცეს ისეთი მიმართულება, რომ რევოლიუციონურ პატიმრებისათვის დახმარების გაწევა მაქსიმალურად იქნეს გაძლიერებული. ამ კამპანიამ უნდა შეაგნებინოს რემედას-ის წევრებს და ყველა მშრომელთ იმ ამოცანათა დიდი მნიშვნელობა, რომელიც სდგას დღეს რემედას-ის წინაშე.

როგორც უკვე I კონფერენციაზედაც იყო აღნიშნული, რემედას-ის მუშაობა საქართველოში ჯერ კიდევ ვერ არის გაღრმავებული და სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ რევოლიუციონურ მოძრაობაში გლეხების ჩასათრევად და რემედას-ის რიგებში ჩასაბმელად ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. კვირეულის ამოცანაა საფუძველი ჩაუყაროს სერიოზულ გეგმიან მუშაობას სოფლად. უნდა მივიღოთ ზომები, რომ ამ კვირეულის განმავლობაში რემედას-ის რიგებში მოვაქციოთ პროლეტარულ მასის, მუშების, გლეხების და მოსამსახურეების მთელი 100 პროც.

ამ კვირეულის დროს მთავარი მუშაობა უნდა ვაწარმოვოთ ორგანიზაციულ და საგიტაციო სფეროში.

რემედას-ის უჯრედის თითოეული წევრი უნდა შეიქნეს კვირეულის აქტიური მონაწილე და მიეცეს მას რაიმე დავალება. ეს არის აუცილებელი პირობა და წესი ჩვენი ორგანიზაციის მუშაობისა კვირეულის ჩასატარებლად.

ყველა მოხსენებებში ხაზი უნდა გაესვას რემედას-ის უდიდეს მნიშვნელობას საერთაშორისო რევოლიუციის მოსამზადებლად და დასაჩქარებლად და, მაშასადამე, კაპიტალისტური საზოგადოების დასამხობად. იმავე დროს მომხსენებლებმა უნდა აღნიშნონ, რომ „პაციფიზმის ხანა დამთავრდა, სისხლიანი კაპიტალი ისევ შეტევაზე გადავიდა—კაპიტალისა და კონტრ-რევოლიუციის მსხვერპლთა რიცხვი თანდათან იზრდება. ამიტომ ჩვენც უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა და გავაასკეცოთ ენერგია მომენტის სერიოზულობის სრული შეგნებით.

კვირეულის ჩატარების დროს ჩვენი სამაზრო კომიტეტი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს, პირველ ყოვლისა, პარტიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებს და სხ.

სათანადო დირექტივები ს. კ. პ. ცეკას მიერ დაეგზავნება ადგილობრივ პარტორგანიზაციებს.

დანარჩენებში ხელმძღვანელეთ თანდართული გეგმით კვირეულის ჩასატარებლად, თეზისებით და სხვა მასალებით, რომელნიც უნდა შეუფარდოთ ადგილობრივ პირობებს და თავისებურობას.

გევალებათ ამ ცირკულიარის მიღებისთანავე შეუდგეთ მზადებას კვირეულის ჩასატარებლად.

რემედას-ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი.

კვირეულის გეგმა და ამოცანები

1. რემედას-ის იდეისა და მიზნების პოპულიარიზაცია; ბურჟუაზიულ ქვეყნებში თეთრი ტერორის და მუშათა მოძრაობის გაშუქება ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის საშუალებით.

2. წევრთა მიზიდვა რემედას-ში; მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა, გლეხთა, მოსამსახურეთა, ახალგაზრდობის და წითელარმიელების ჩაბმას რემედას-ის რიგებში.

3. ბურჟუაზიულ ციხეებში მყოფ პოლიტპატიმრებზე შეფობის აზრის განმარტება.

4. მასიური გავრცელება რემედას-ის ყველა გამოცემებისა (ჟურნალები, ბიულეტენები, ბროშიურები, პლაკატები, ჟეტონები, ფასიანი ფურცლები და სხ.).

შენიშვნა: კვირეულის განმავლობაში აუცილებლათ სულ უნდა გაიყიდოს ის ფასიანი ფურცლები, რომლებიც დაგზავნილია ადგილებზე.

5. რემედას-ის ყველა უჯრედებისა და კომიტეტების მუშაობის გადასინჯვა (ჩატარებულ მუშაობით შეძენილ გამოცდილების გასათვალისწინებლათ). მუშაობის გადასინჯვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) უჯრედებისა და წევრთა მიერ გამოჩენილ ინიციატივას და თვით მოქმედებას.

ბ) შემოსავალთა და წევრთა სწორ აღრიცხვას ადგილებზე (საწევრო გადასახადების წესიერად შემოტანა, შემოწირულებათა შეგროვება და სხვას.

გ) საშემოსავლო წყაროებს (საწევრო გადასახადები, შემოწირულებანი, ჟურნალების, ბროშიურების, ჟეტონების, მარკების გაყიდვიდან შემოსული და სხვა თანხები).

დ) ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ ფინანსიურ დარგში თავის ვალდებულებათა სწორი და წესიერ შესრულებას.

6. საზოგადო კრებების და კონფერენციების ჩატარება, რომელზედაც მოსმენილ უნდა იქნეს რემედასის ორგანოების ანგარიშები (ანგარი- [illegible]

7. შეფობის აღება კაპიტალისტურ ციხეებში დაპატიმრებულ რევოლიუციონერებზე.

8) შეფობაზე აყვანილ პატიმრებისათვის საჩუქრების დამზადება.

9. კოლექტიური წერილების დაგზავნა პოლიტპატიმრებისათვის.

10. 1—7 იანვრამდე ყველგან უნდა ჩატარდეს წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით საზოგადო კრებები რემედას-ის წევრებისა დანარჩენ მშრომელებთან ერთად.

ეს კრებები უნდა ჩატარდეს დაახლოებით შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საერთაშორისო მდგომარეობა და რემედას-ის ამოცანები.

ბ) ანგარიში რემედას-ის უჯრედის, ანუ კომიტეტისა.

გ) უჯრედის ანუ კომიტეტის მუშაობის სამი თვის—იანვრის, თებერვალის და მარტის გეგმის დამტკიცება.

დ) ხელახალი არჩევნები რემედას-ის უჯრედის ბიუროსი ან მდივნის.

11. 3 იანვარს ყველა თეატრებში, კინოებში და გასართობ ადგილებში უნდა მოეწყოს ფასიანი წარმოდგენები, საღამოები, კონცერტები და სხ.

12. 4. იანვარს მუშათა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში უფასოდ უნდა გაიმართოს რემედას-ის საღამოები ადგილობრივ უჯრედის ანუ კომიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით.

13. ადგილობრივ პრესაში ყოველმხრივ უნდა იქნეს გაშუქებული რემედას-ის კვირეულის მსვლელობა.

14. იქ, სადაც მოსახერხებელი იქნება, უნდა გადაიღოთ სურათები კვირეულის დამახასიათებელ მომენტებისა და მოაგროვოთ სათანადო მასალები შემდეგი გამოყენებისათვის (სურათები და მასალები გამოყენებისათვის უნდა გამოიგზავნოს საქართველოს რემედას-ის ცეკაში თითო ცალად).

15. კვირეულის გატარების ყოველგვარი მასალები მაზრაში უნდა მოგროვდეს და [illegible]

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. ცეკას მუშაობა

ამხ. კამენევის მოხსენება

მოსკოვი. 14 დეკემბერი. წითელი პრესნის რაიონის მეხუთე პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც 13 დეკემბერს გაიხსნა, ამხ. კამენევმა მოხსენება გააკეთა რ. კ. პ. ცეკას მუშაობის შესახებ. კამენევმა აღნიშნა ცეკას მნიშვნელოვანი სამეურნეო და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებული იყო გასული წლის განმავლობაში. აღნიშნა რა ფულის რეფორმის წარმატება და მრეწველობის სხვადასხვა დარგების განუწყვეტელი ზრდა, კამენევი შეჩერდა გლეხებთან დამყარებულ დამოკიდებულებაზე და ხაზი გაუსვა იმას, რომ მუშების და გლეხების კავშირმა ნიადაგი მოუმზადა მეურნეობის აღორძინებას. ცეკამ თავის ლოზუნგათ დაისახა გლეხობასთან დაახლოვება. ყველაფერი იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ გლეხობა არ მოსწყდეს მუშათა კლასს.

კამენევის მოხსენების შემდეგ დაიწყო გაცხოველებული კამათი.

თელავის ორგანიზაციაში

თელავის ორგანიზაციის პარტიულ კომიტეტის ერთ-ერთ მიღწევათ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ამ ბოლო დროს სისტემატიურად იმართება პარტიული ღია კრებები, რომლებზედაც უპარტიონიც ესწრებიან და მით საშუალება ეძლევათ მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა აღმშენებლობაში.

თელავის პარტიული კომიტეტის ასეთი ნაბიჯი მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ეს მით უმეტეს, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის სხდომაზე ამხ. გ. ქურციკაშვილმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალ საბჭოს არჩევნებში არჩეულნი იქნებიან უპარტიონიც.

28 ნოემბერს ამხ. ილ. ქურდღელაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ორგანიზაციის ღია სხდომა.

მოხსენება გააკეთა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ქურციკაშვილმა საბჭოების მაზრის აღმასკომის განყოფილების საერთო მუშაობის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ამ ჟამად მაზრაში ყოფილა 7 რაიონული აღმასკომი. ყველგან არჩეულ საბჭოებიდან გამოყოფილი იყო პრეზიდიუმი, მაგრამ ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც თვით ეს პრეზიდიუმი ვერ ატარებდა ცხოვრებაში საბჭოს დადგენილებებს და საერთოთ მაზრის აღმასკომის იმედებს ვერ ამართლებდა. სოფლის გლეხებს რაიაღმასკომში 5—10 და ხან 15 ვერსიდან უხდებოდათ სიარული, ხშირად უშედეგოთ რაც იწვევდა გლეხებში დიდ უკმაყოფილებას. „ზაგსის" კანცელარია რაიაღმასკომთან იყო მოწყობილი და გლეხი კაცი ამ სიშორიდან უნდა წასულიყო იქ აქტის შესადგენად. ეს კი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჰქმნიდა და დროს აკარგვინებდა მათ.

ერთი სიტყვით რაიონიზაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო, მხოლოდ ამასთანავე კოლეგიალური მუშაობაც ვერ იდგა თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

აი სწორედ ამისთვის სრ. საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, როგორც საერთოთ, ისე თელავის მაზრაც უნდა გადავიდეს თემურ სისტემაზე; წინანდელ 7 მაგიერ იქნება 18 თემი. ამათ ეყოლებათ საბჭოები, რომლის მუშაობაში ჩაბმულია უპარტიო მასაც. ეს დადგენილება ჩვენ უნდა დაუყოვნებლივ განვახორციელოთ, საბჭოების მუშაობას კი უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმი.

აგრარული საკითხი მაზრაში თითქმის სავსებით მოგვარებულია. გლეხებს დაურიგდათ სახნავი მიწები და ვენახები, რომლებიც ამ ბოლო დროს ჩამოერთვათ მემამულეებს. ეს მამულები გლეხებს გაუნაწილდათ, მაგრამ მიზანი—ე. ი. მიწის მოწყობა მაინც მიღწეული არ არის. ჯერ არ არის გამორკვეული, რომელი მიწები რომელ სოფლის ფარგლებში შედის, ერთ სოფელს რომ მეტი აქვს მიწა, მეორეს ნაკლები. ამის გამოსარკვევად საჭიროა მუშაობა, საჭიროა მიწის მზომელნი, რომლებიც დღეს-დღეობით ნაკლებადა გვყავს. სოფელს უნდა მიეზომოს საძოვე, სავენახე, სახნავი, საბოსტნე, მხოლოდ ეს კი მოითხოვს გეგმიან მუშაობას.

ასეთი გეგმიანი მიწის მოწყობა მაზრაში უკვე დაწყებულია: ალვანში, ზინობიანში და ნაწილობრივ კონდოლში.

მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება 13 კაცისაგან, ამათ არჩეული ჰყავთ პრეზიდიუმი. აღმასკომს ჰქონდა წინედ 9 სხვადასხვა განყოფილება, რომელსაც ჰყავდა ცალცალკე გამგეები და გაბერილი შტატი. ეს მიზანშეწონილი არ გამოდგა, ხარჯი დიდი იყო, ამისთვის გავაერთიანეთ და ეხლა 4 განყოფილება აქვს აღმასკომს, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელობას უწევს აღმასკომის პრეზიდიუმი.

აღმასკომის მთავარი ყურადღება მიქცეულია სოფლად. აქ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი რიგზე იყვეს; სოფლად ჩვენ გვაქვს საქმე ბევრ ნაკლულოვანებებთან, რომლებიც საჭიროებენ დაუყოვნებლივ გამოსწორებას. უნდა უცვლელად გატარდეს ცხოვრებაში ყველა ის დეკრეტები და დადგენილებანი, რომელიც ცენტრიდან მოგვდის, აღმასკომმა უშუალოთ უნდა უხელმძღვანელოს სოფელს ტყის დაცვაში, გზების შესწორებაში, სკოლების აშენებაში, წყაროების გამოყვანაში და სხვა და სხვა.

ფილოქსერის მიზეზით კახეთის მევენახეობა ძირიანად შეირყა. 1912 წელს 12 ათასი დესეტინა ვენახი იყო კახეთში, ეხლა-კი მხოლოდ 4 ათასია. მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და წელს 100 ათასი მანეთი გადასდო კახეთში სანერგეების მოსაწყობათ, ამერიკელ ნამყენის გასაშენებლათ.

აღმასკომი მკვეთრ სერიოზულ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობის და განათლების საქმეს. 1921 წელს თელავის მაზრაში 4 ათასი მოწაფე იყო, 1923 წელს-კი ეს რიცხვი 9 ათასამდე გადიდდა, მხოლოდ წელს კიდევ გაორკეცდებოდა.

მილიცია, მიუხედავათ მცირე ჯამაგირისა, თელავის მაზრაში თავის სიმაღლეზე სდგას; მან მოსპო ბანდიტიზმი მაზრაში და იშვიათია ისეთი ბოროტმოქმედება, რომ მილიციამ ის არ აღმოაჩინოს.

ამხ. ქურციკაშვილის მოხსენება მეტად საინტერესო იყო, რადგანაც ეს მოხსენება შეეხებოდა თელავის მაზრის ყოფა-ცხოვრებას, ის მეტად გულდასმითაც იქნა მოსმენილი.

ვან.—ლი.

კულტურული მუშაობა სოფ. საგარეჯოში

(გარე-კახეთი)

ამ ბოლო დროს საგარეჯოში კულტურულ დარგში მუშაობას დაეტყო დიდი წინსვლა და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადაიდგა.

ა. ლ. კ. კავშირის მიერ უკვე გამოიცა კედლის გაზეთი „წითელი საგარეჯო"-ს პირველი და მეორე ნომერი. ამ მოკლე ხანში განზრახული არის კომ.უჯრედის მიერ გამოიცეს კედლის გაზეთი „წითელი გლეხის" სახელწოდებით, რომლის გამოცემას ხელმძღვანელობს კომუჯრედის პ. მდ. ამხ. მიხეილ სადაგიშვილი და სარედ. კოლეგია. ამ კედლის გაზეთის გამოცემას აქვს დიდი კულტურულ-განმანათლებელი მნიშვნელობა ადგილობრივი მშრომელი გლეხკაცობის ცხოვრებაში. სოფლის ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხების დასმა და ამ მხრივ პრაქტიკულ ზომებზე მითითება დიდ სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ მშრომელ მასას.

ვუსურვებთ ამ საქმის მესვეურთ ამ უმნიშვნელოვანესი საქმის სასურველად დაგვირგვინებას.

აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ ამ უკანასკნელ დროს ა. ლ. კ. კავშირის, ამხ. ვ. სტუროუას სახელობის კლუბში მუშაობა ძალზედ მინელდა, რაზედაც მივაქცევთ ყურადღებას, ვისგანაც ჯერ არს.

ხვიმონიშვილი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ფოთის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა

ა. ლ. კ. კავშირის ფოთის სამაზრო კომიტეტი აერთიანებს 3 რაიონს.

მთელი ორგანიზაციის შემადგენლობა მუშურია.

აღსანიშნავი არის მეექვსე ყრილობის შემდეგ ჩვენი რიგების ზრდა, რომელიც გამოიხატა შემდეგ ციფრებში: ყრილობამდე ჩვენს ორგანიზაციაში იყო 262 წევრი და კანდიდატი, ეხლა ითვლება 457 წევრი და კანდიდატი.

წინეთ ვაერთიანებდით 17 უჯრედს, ამ ჟამად კი 23-ს. მუშური ახალგაზრდობის 100 პროც. თითქმის დაპყრობილია. გლეხური ახალგაზრდობაც ჩვენთან არის, მოწაფე ახალგაზრდობას სტიქიური ლტოლვა ემჩნევა ჩვენი კავშირისკენ—ჩვენი იდეური გავლენაც თანდათან ძლიერდება. რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, ისიც თანდათან ცხოველდება და კავშირში ახალ შემოსულ ქალთა რაოდენობაც საგრძნობია. პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს—დამატებითი პოლიტგამოცდები ქალაქად ჩატარდა, შედეგიც დამაკმაყოფილებელია. ამ ბოლო დროს დაიწყო მეცადინეობა პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა სემინარიამ. რაიონებში სოფლად უჯრედები გადიან „პოლიტ საუბართა" კრებულს და „აგრო-საუბართა კრებულს" განზრახული არის ახლო ხანში მთლიან სისტემის შემოღება.

მაზრაში არის შექმნილი ახკორთა ინსტიტუტი. გამოდის რვა კედლის გაზეთი.

საკლუბო მუშაობა თანდათან ძლიერდება. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კულტურული პოლიტ-წრეები. განზრახული არის კლუბში გასართობების მოწყობაც.

ეკონომ-მუშაობა მაზრაშიც დამაკმაყოფილებელია: გამოყოფილია უფასო ასისენტები, ყველა კავშირებში შედიან ახალგაზრდათა წარმომადგენლები. იმართება ეკონომ-მუშავეთა თათბირები და სხვ. მოჯამაგირე ახალგაზრდათა შორის მუშაობა, ასეთების უყოლობის გამო, არ სწარმოებს.

სამაზრო კომიტეტი უშუალოდ (ს. ს. განყ. გამგის საშუალებით) ხელმძღვანელობს ბ. კ. ჯგუფებს. არსებობს სულ 9 კოლექტივი 500-ე წევრით, კოლექტივებს ხელმძღვანელობს 20-ე მეტი კომკავშირელი. ზოგიერთი კოლექტივები უშვებენ კედლის გაზეთებს. აწყობენ პიონერთა კუთხეებს. ამასთანავე პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოწაფეთა თვითმართველობებში.

ფიზკულტურის საქმეს კომკავშირის სამაზრო კომიტეტი აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. არსებობენ ფეხბურთელთა რაზმები და სხვა. ფიზკულტურის საბჭოს მდივნად არის კომკავშირის წარმომადგენელი რომელსაც ევალება ყოველგვარი საკანცელარიო და სხვა საქმეების მოგვარება. კომკავშირის განკარგულებაშია ერთი მოედანი და დარბაზი სავარჯიშოთ. საერთოდ აღმასკომის საშუალებით ფიზკულტურა დგება სასურველ დონეზე.

გრიგანი.

მისალმებები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საქ. კომპარტიის ცეკამ ქუთაისის მაზრის მასწავლებელთა კონფერენციისაგან შემდეგი მისალმების დეპეშა მიიღო:

ქუთაისის მასწავლებლობა აღგითქვამთ გულწრფელ ენერგიულ თანამშრომლობას იმ მაღალი მიზნის მიღწევაში, რომელსაც ისახავს კომუნისტური ლაშქარი. განათლების მუშაკნი ყოველთვის იქნებიან კომუნისტური პარტიის ერთგული თანამშრომლები.

ქუთაისის მაზრის მასწავლებელთა პირველი კონფერენცია.

გურიის მასწავლებელთა კონფერენციისგან

გურიის რევოლიუციონურ მასწავლებელთა კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ, როგორც შეუდრეკელ და შეუდარებელ დამცველს მუშათა კლასის ინტერესებისას, როგორც მეურვეს ჩვენი გლეხობისა და ქალაქის პროლეტარიატისას. გურიის მასწავლებლობა ერთხელ და სამუდამოდ დაუბრუნდა რევოლიუციონურ კერას და დგას ლენინიზმის წითელ დროშის ქვეშ და ყოველგვარი სერიოზულ მომენტში თქვენთან ერთად იქნება ყოველგვარ ჯურის კონტრ-რევოლიუციონერთა დასათრგუნველათ. ჩვენ პირნათლათ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას „ათი წლის თავზე არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი",— ამ ანდერძსაც რეალურ ფრთებს შევასხამთ აღმშენებლობაში ჩვენ თქვენი მარჯვენა ხელი ვართ და ვიქნებით მარადიულად, ჩვენ მედგრად მიმართული გვაქვს წითელ დროშა, რომელზედაც აწერია: „სწავლა შრომაში, შრომა სწავლაში და აქტიური დახმარება საბჭოთა აღმშენებლობაში". ფიცსა ვსდებთ, რომ ამ დროშას ჩვენ ერთხელაც არ დავხრით ძირს. გაუმარჯოს თქვენს მადლიან მარჯვენას, რომლის მოქმედება მიმართულია ჩვენი ქვეყნის შრომელთა საკეთილდღეოთ, გაუმარჯოს საბჭოების ძალა-უფლებას წითელ მსოფლიოში! გაუმარჯოს კომუნიზმს!

გურიის მასწავლებელთა კონფერენცია.

პროფკავშირებში

თელავის მაზრის მასწავლებელთა ყრილობა

8—9 დეკემბერს განათლების მუშაკთა სახლში მოხდა თელავის მაზრის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა, რომელზედაც დაესწრო 25 წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმით და 6—სათათბიროთი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. მ. კაკაბაძე, ს. კარჭაული, ქ. გეგელიძე, ნ. ლომიძე და ი. ოგანეზოვი. მდივნებად: ივ. დავთიანი, ს. რამაზაშვილი, გ. ქელიძე.

საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმად კრების მიერ არჩეულ იქნენ: ამხ. ლუნაჩარსკი, კრუპსკაია, სტალინი, რიკოვი, მ. ორახელაშვილი, მავრიდოვა.

ყრილობას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: პარტკომის წარმომადგენელმა ამხ. ს. კარჭაულმა, განათლების მუშაკთა კავშირის პ. მ. მდივანმა მ. კაკაბაძემ, ახკომკავშირის წარმომადგენელმა ამხ. სოსელიამ, პოლიტ-განათლების—ამხ. გურჯიშვილმა, რემედასის—ვ. მოსიაშვილმა და სხვ.

ყრილობაზე მოხსენებები გააკეთეს შემდეგ თემებზე: განათლების ამოცანები საბჭოთა სისტემაში—ქ. გეგელიძემ.

მასწავლებლობა და კომ. პარტიის მე-13 ყრილობა—ს. კარჭაულმა. მასწავლებლობა და პროფესიონალური მოძრაობა—მ. კაკაბაძემ. მასწავლებლობა და ახკომკავშირი—დ. გურჯიშვილმა.

მოხსენებები მეტად საინტერესო აღმოჩნდა, შეეფერებოდა მომენტს და გულდასმითაც იქნა მოსმენილი.

შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან. ილაპარაკეს თითქმის ყველა რაიონის დელეგატებმა. როგორც ამ მოხსენებებიდან გამოირკვა, [illegible] საერთოდ სწავლა განათლების საქმე თელავის მაზრაში დამაკმაყოფილებელია, თუმცა არის ადგილები, სადაც ნაკლიცაა, რაც გამოიხატება სახელმძღვანელოების უქონლობაში, რის მიზეზით, პირდაპირ შეუძლებელი ხდება თვითონ მეცადინეობა. ერთ რაიონს თვითონ გაუგზავნია კაცი თბილისში წიგნებისათვის, რაც, რასაკვირველია, ზედმეტ ხარჯს გამოიწვევდა.

ამაზე განათლ. მუშ. კავშირის პ. მ. მდივანმა ამხ. კაკაბაძემ უპასუხა, რომ ამ საკითხს უკვე მიაქციეს ყურადღება და სულ ახლო მომავალში რაიონებში კოოპერატივებთან მოეწყობა სახელმძღვანელო წიგნების განყოფილებები, საიდანაც შეიძენენ ხელმისაწვდომ ფასებში.

ზოგმა დელეგატმა აღნიშნა სკოლისათვის შესაფერ შენობის უქონლობა, რის მიზეზით სხვადასხვა ბინაზე სწარმოებს მეცადინეობა, რაიც ხელს უშლის ნორმალურ სწავლის მსვლელობას და სხვა.

დასასვენებელ არდადეგებად ყრილობამ სამჯობინოდ აღიარა პირველი ნახევარი იანვრის და აპრილის თვეებისა.

დასასრულ მოხდა არჩევნები. მასწავლებელთა საკავშირო ყრილობაზე (მოსკოვში) არჩეულ იქნა სოფლის მასწავლებელი ამხ. ალ. რამაზაშვილი, ხოლო საქართველოს მასწ. ყრილობაზე—თბილისში: ამხ. მ. კაკაბაძე, ივ. დავთიანი, ნ. ჩოლაყაშვილი, ალ. რამაზაშვილი, გ. ბაბუტაშვილი, და ს. ხუციძე ამით ამოიწურა ყველა საკითხები და ყრილობა დაიხურა იმავე დღეს.

მეორე დღეს, 9 დეკემბერს კრება გაგრძელდა ქალაქის და მაზრის ადგილკომების და პროფუწმუნებულების [illegible]

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. მ. კაკაბაძე, მდივნათ—ივ. დავთიანი. ამ კრებას ჰქონდა წმინდა საქმიანი და პრაქტიკული ხასიათი.

ამხ. მ. კაკაბაძემ გააკეთა მოხსენება განათლ. მუშაკთა კავშირის მუშაობის შესახებ და სხვათა შორის ხაზი გაუსვა სკოლის დარაჯების და პრა-კურსის მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, კულტურულ მუშაობას, რომელიც გაერთიანებულია ყველა კავშირებთან ერთად და უშუალოდ ხელმძღვანელობს პროფბიურო, განათლების მუშაკთა სახლის მოქმედებას, მარქსიზმ-ლენინიზმის შესახებ ლექციების მოწყობა რაიონებში და სხვა და სხვა.

შემდეგ ქალთა განყოფილების გამგე ამხ. თამ. ცინცაძემ მოუწოდა დელეგატებს აქტიურათ ჩაებან სოფლათ ქალთა მუშაობაში.

დამზღვევ კასის გამგე ამხ. ვ. პაატაშვილმა გააკეთა მოხსენება: მუშათა დაზღვევა წინეთ და ეხლა—საბჭოთა ხელისუფლების დროს და კასის 1924 წლის მოქმედების ანგარიში. მოხსენებას მოჰყვა მრავალი შეკითხვა, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს.

ამხ. სოსელიამ თავის მოხსენებაში მასწავლებლობისა და ახკომკავშირის შესახებ, ხაზი გაუსვა მათ შორის მჭიდრო კავშირს და შეთანხმებით მუშაობას.

შემდეგ ყველა რაიონების დელეგატებმა დაწვრილებითი მოხსენებები გააკეთეს როგორც ადგილკომების მოქმედების, ისე მასწავლებლობის მუშაობის და საერთოდ სკოლის მდგომარეობის შესახებ.

საერთოდ ჩვენი მასწავლებლობა აქტიურათ ჩაბმულა სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დღეს ის თითქმის ყველგან ცხოველ მონაწილეობას იღებს ყველა სოფლის კულტურულ-განმანათლებელ საქმეში, რამიც არ შეიძლება არ აღინიშნოს მათი წარმატება ამ მხრივ.

ვან—ლი.

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

გუშინ, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიხსნა მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა.

პრეზიდიუმში არჩეული იქნენ ერთხმად შემდეგი ამხანაგები: კახაროვი, ფანცხავა, გაბუნია, გეგეჭკორი, ჰაშეიშვილი, ალოშინი და ლომაური.

სამდივნოში არჩეულნი არიან ამხ. ამხ. ცინცაძე, მანთაშევი და ლორთქიფანიძე.

საპატიო თავმჯდომარეებად ყრილობა ირჩევს ამხ. ამხ. ანკელოვიჩს (მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტ. კომიტეტის გენერალურ მდივანს) სტალინს, ტომსკის, მახარაძეს, ცხაკაიას, მიშა ოკუჯავას, ყურულაშვილს და ორჯონიკიძეს.

სამანდატო კომისიის არჩევის და [illegible] დამტკიცების შემდეგ [illegible]

დღის წესრიგი.

1) სრ. საკავშირო მიწა-ტყის კავშირის ცენტრ. კომიტეტის მოხსენება (მომხსენებელი ამხ. კახაროვი), 2) საქ. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) მიწადმოქმედების სახკომის მოხსენება, 4) მოხსენება სახალხო მამულების ტრესტის შესახებ, 5) მოხსენება სატყეო განყოფილების მუშაობაზე, 6) „[illegible] კავშირის მუშაობა და ამოცანები, 7) თეზისები ცენტრალური გამგეობის მომავალი მუშაობის შესახებ, 8) ცენტრ. გამგეობის, სარევიზიო კომისიის და საკავშირო ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ყრილობა ისმენს ამხ. კახაროვის მოხსენებას მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის [illegible]

საქართველოს პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი

ჟურნალ-გაზეთის გამოცემის შესახებ

ამხ. მიქაძის შემდეგ ამხ. ყურულაშვილი აკეთებს მოხსენებას პროფესიონალურ გაზეთის და ჟურნალის გამოცემის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს გაზ. „მუშის" ნაკლს, როგორც პროფესიონალურ ორგანოსას, რომელიც საკმარისი ყურადღებით ვერ აშუქებს პროფესიონალურ ცხოვრების ყველა საკითხებს, მოითხოვს მის გადახალისებას პროფკავშირთა საჭიროების მიხედვით. ვინაიდან არც ერთ გაზეთს დაუხმარებლათ არ შეუძლია არსებობა, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია პროფკავშირებს კულტფონდიდან 5 პროცენტი გადარიცხონ გაზ. „მუშას" ფონდის გასაძლიერებლათ. მოკლე ხანში გამოიცემა აგრეთვე ქართულ ენაზე პროფკავშირთა ჟურნალი კულტფონდის საშუალებით.

პლენუმისგან მიღებული რეზოლიუცია იწონებს ამხ. მომხსენებლის წინადადებას ჟურნალ-გაზეთის დახმარების შესახებ.

სამაზრო პროფბიუროების არჩევნები

ამხ. ატოევის მოხსენების თანახმად პლენუმი ადგენს სამაზრო პროფბიუროების საარჩევნო კამპანია დაიწყოს ა/წ. 25 დეკემბრიდან. ამ დროისთვისვე დანიშნულ იქნეს დამზღვევ კასების და გადარჩევა პროფკავშირთა წევრების ხელახალი აღრიცხვა, რაც პლენუმის დადგენილებით დაიწყება 1925 წლის 15 იანვრიდან.

მეორე დღე

სასოფლო-პროფბიუროების გამოკვლევა

ამხ. ატოევის მოხსენების თანახმად პლენუმი ადგენს მოახდინოს 4 დამახასიათებელი მაზრის პროფბიუროების გამოკვლევა.

სოფლის მოჯამაგირეთა ჩარიცხვა კავშირში

ვინაიდან სოფლად მოჯამაგირეთა რიცხვი დიდ რაოდენობას წარმოადგენს და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას კავშირის მხრივ, პლენუმი ამხ. ფანცხავას მოხსენების მიხედვით ადგენს, წინადადება მიეცეს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს მკვდარი წერტილიდან დასძრას ბატრაკულ ელემენტის კავშირში ჩარიცხვის საქმე.

სრ. საკავშირო პროფკავშირთა მე-6 ყრილობის შედეგები

(მომხსენებელი ამხ. ყურულაშვილი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მე-6 ყრილობა პირველი ყრილობაა, რომელსაც დაესწრნენ უცხოეთის პროფორგანიზაციათა წარმომადგენელნი (ინგლისის ტრედიუნიონთა, საფრანგეთის და ჰოლანდიის პროფკავშირთა წარმომადგენელნი). ყრილობაზე საფუძველი დაედო პროფმოძრაობის საერთაშორისო გაერთიანებას. მნიშვნელოვანი იყო ამხ. ზინოვიევის მოხსენება, რომელიც მოითხოვდა პროფკავშირის გაცხოველებას სოფლად.

შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად ყრილობა საჭიროდ სცნობდა არა მარტო ინდივიდუალური შრომის გადიდებას, არამედ წარმოების ტეხნიკურ გაუმჯობესებას და ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის განმარტივებას.

ამხ. რიკოვმა თავის მოხსენებაში: „მრეწველობა და სახელმწიფო—კოოპერატიული ვაჭრობა" აღნიშნა, რომ თუ წარსში სახელმწიფოს აწუხებდა გასაღების კრიზისი, წრეულს საქონელი ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას, რისი ერთ-ერთი მიზეზი არის ის გარემოება, რომ მრეწვე[illegible] კრედიტის სახით გაჰყიდა თავისი საქონელი. ეს თანხები უკანვე უნდა დაუბრუნოს კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ ჩვენს მრეწველობას, ხოლო კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ სხვა საშუალებით უნდა გააფართოვოს თავისი ოპერაციები.

ამხ. ყურულაშვილის თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. ელბაქიანი, რომელმაც პლენუმს გააცნო ყრილობის დადგენილებები შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის შესახებ. მავნე წარმოებებში იკვეცება კომპენსაციები, სამაგიეროთ მეტი ყურადღება ექცევა წარმოების მავნე თვისებების მოსპობას.

თანხა, რომელიც ხმარდებოდა კომპენსაციას, დაიხარჯება მავნე პირობების ალმოსაფხვრელათ იმ წარმოებებში, სადაც ეს მოსახერხებელია.

სოციალური დაზღვევის სფეროში პროცენტულ ანარიცხების შემცირების გამო რომ არ შემცირდეს დახმარების ნორმა, ყრილობამ დაადგინა კავშირებმა სასტიკი ბრძოლა აწარმოონ სიმულიაციასთან და სხვა ბოროტმოქმედებებთან. ქალთა და მოზარდთა შრომის დაცვისათვის ყრილობამ დაადგინა შემცირდეს იმ პროფესიათა რიცხვი, სადაც აკრძალულია ქალების და მოზარდების შრომის გამოყენება.

მშენებელთა კავშირის ყრილობა

პირველი სხდომა

14 დეკემბერს დილით პროფკავშირთა დარბაზში გაიხსნა საქართველოს მშენებელთა კავშირის მე-4 ყრილობა. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმების და სამდივნოს არჩევის შემდეგ ყრილობა შეუდგა საქმიანობას.

სრ. საკავშირო ცენტრალურ კომიტეტის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ბოგდანოვი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ ჟამად მთელს საბჭოთა კავშირში ხდება მშენებლობის აღორძინება, რის გამოც მშენებელთა კავშირს, რომელიც აერთიანებს ამ დარგის მუშებს, ეძლევათ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

კავშირი საგრძნობლად განმტკიცდა. ამ ჟამათ მთელს საბჭოთა კავშირში კავშირს ჰყავს 350 ათასამდე წევრი, ხოლო გასულ წლის ოქტომბერში კავშირის წევრთა რიცხვი უდრიდა—250 ათასს.

გადადის რა მშენებელთა ნივთიერ მდგომარეობაზე, ამხ. ბოგდანოვი იუწყება, რომ მშენებელ მუშის საშუალო ხელფასი თითქმის ყველგან აღწევს მშვიდობიანი დროის ხელფასის 100 პროცენტს.

14 დეკემბრის, საღამოს სხდომა

მშენებელთა კავშირის ცენტრ. გამგეობის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ფეოდოროვი)

მომხსენებელი პირველად ეხება კავშირის წევრთა რაოდენობის ზრდას. ამა წლის 1 იანვრისათვის კავშირი აერთიანებდა 5.987 წევრს, მაისში—6.494, სექტემბერში — 8,925, ხოლო 1 ნოემბრისათვის—10,775 კაცს.

წევრთა ეროვნული შემადგენლობა ასეთია: ქართველი—60,7 პროც. სომეხი—18,2 პროც., რუსი—9, 5 პროცენტი და სხვა ეროვნებანი—11,6 პროც.

საანგარიშო პერიოდში მთავარი ყურადღება ექცეოდა მუშაობას მარტოხელ მშენებელთა შორის, რომელთაც მუდმივი სამუშაო არ აქვთ და ცდილობენ მეტი იმუშაონ, რომ მოპოვებული ნაშრომით თავი გაიტანონ უმუშევრობის დროს.

საამშენებლო სეზონის გამო, უმუშევართა რიცხვი დიდი არ არის. (349 უმუშევარია). ურთიერთობა ადგილებთან მოწესრიგებულია.

ურთიერთ დამხმარე კასაში ჩარიცხულია 2.203 წევრი, რაც შეადგენს მუდმივ წევრთა საერთო რაოდენობის 90 პროცენტს.

რაც შეეხება ხელფასს, იგი აღწევს მშვიდობიანი დროის 80—100 პროცენტს.

კულტურულ - საგანმანათლებლო დარგში მთავარი ყურადღება ექცეოდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას.

მიმდინარე წლის განმავლობაში წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა დაასრულა 300 წევრმა.

დასასრულ ამხ. ფეოდოროვი აღნიშნავს იმ ღონისძიებათ, რომელიც ცენტრ. გამგეობას მიუღია მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

15 დეკემბერი, დილის სხდომა

სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა ბიუროს მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. მარქაროვი).

მშენებელთა კავშირის სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა ბიურო აერთიანებს 136 კაცს. ბიურო აქტიურ მონაწილეობას იღებს იმ საკითხების დამუშავებაში, რომელნიც მოითხოვენ მეცნიერულ-ტეხნიკურ დასაბუთებას (მაგ. საქარხნო-საფაბრიკო სკოლის მოწყობა, ინდივიდუალური შეკვეთების პროგრამის შემუშავება და სხვა).

მუშაობა ახალგაზრდებს შორის

(მომხსენებელი ამხ. ობრაზცოვი).

კავშირში ირიცხება 1.046 ახალგაზრდა მშენებელი. ამ რიცხვიდან ქართველია—49 პროც. სომეხი—19 პროც. დანარჩენი სხვა ეროვნებანი. ახალგაზრდობა თანდათან ებმება კომკავშირის რიგებში.

ახალგაზრდობის საშუალო დღიური ხელფასი უდრის—1 მან. 8 კაპ. ახალგაზრდებს წარმოებაში მეტად განსხვავებული პროცენტი უჭირავს. მაგალითად „ზაჰესში" ახალგაზრდებს უჭირავთ ადგილების 1,5 პროცენტი. მხოლოდ ქსნის აგურის ქარხანაში ახალგაზრდობას უჭირავს ადგილების 8,6 პროცენტი.

მიმდინარე წელს მუშფაკებზე გაგზავნილ იქნა 7 კაცი, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში—3.

იანვრისათვის განზრახულია საფაბრიკო-საქარხნო სკოლის გახსნა ახალგაზრდების კვალიფიკაციის გასადიდებლათ.

განაჩენი მშრომელთა ჯალათებზე

ლ. მახარაძის, ფ. კედიას და სხვათა საქმე

13 დეკემბერს, საღამოს ზრულ 11 საათზე გამოცხადდა სამართლის განაჩენი. დარბაზი სავსებით გაჭედილია ხალხით. სასამართლომ ყოფ. ბოქაულ ლავრენტი მახარაძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი ყველა დამტკიცებულათ სცნო და, თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 67 მუხლისა, მიუსაჯა მას უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. მხოლოთ იმავე კოდექსის 83 მუხლის შენიშვნის თანახმად, დახვრეტა შეეცვალა საქართველოს საზღვრებიდან სამუდამო გადასახლებით.

ფილიპე კედიას მიმართ ბრალდება აგრეთვე დამტკიცებულათ სცნო სასამართლომ და, თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის მე 67 მუხლისა, მიუსაჯა ხუთი წლის საპყრობილე სასტიკი იზოლიაციით. ხოლო 22 მუხლის შენიშვნის თანახმად, სასჯელი შემსუბუქებულია მის ხანდაზმულობის მიხედულობით.

დანარჩენი ბრალდებულნი: საყვარელიძე, ჭაჭიაშვილი, ბარათაშვილი და მაჭავარიანი, როგორც არა საპასუხისმგებლო თანამდებობის ალმასრულებელნი, განთავისუფლებულ არიან სასჯელისაგან.

დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა განაჩენით.

საბჭოთა სასამართლო

აფერისტების გასამართლება

გუშინ, 15 დეკემბერს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. შომახიას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების ბარბაქაძის, ნარიმანიძის, პროკურორის ამხ. გრიგოლიას მონაწილეობით დაიწყო პროფესიონალური აფერისტის ალექსანდრე გრუზმანის (იურისტის) და მისი კომპანიონების მ. ბანდარენკოს, პროკ. ანიკეევის, ლიახოვის, ალ. ჯაბ დარის, ვლად. შარინის, გავრილოვის, ევ. დოლინსკის საქმის გარჩევა. ზემოდ აღნიშნული პირები გრუზმანის მეთაურობით აკეთებდენ ყალბ მოწმობებს, ყალბ ჩეკებს, დუბლიკატებს, ჰყიდენ მათ და ამ რიგად ატყუილებდენ ხალხს. აღნიშნული გრუზმანი მრავალჯერ ყოფილა ასეთ სიყალბეებისათვის დაპატიმრებული რუსეთში, ბაქოში და სხვაგან. მაგრამ ზოგჯერ ამნისტიით, ზოგჯერ გაქცევის გზით თავი დაუღწევია ციხისაგან. ამ „შაიკა" გაუტეხია აგრეთვე კოოპერატივი ბაქოში, საიდანაც გაუტაცნია რამდენიმე ათასი მანეთის საქონელი. 1923 წელს მათი მეთაური გრუზმანი ჩამოდის თბილისში. ის მიდის ვინმე სოსინოვთან და ეუბნება, რომ მას აქვს ორი ვაგონი ხორბალი გასაყიდი და ეძებს მყიდველს. ის თან უჩვენებს დუბლიკატებს და აგრეთვე თავის მოწმობას ბელოვის სახელზე. სოსინოვი ამის შესახებ მოელაპარაკება თავის ნაცნობს ბისტროვს, რომელსაც მაშინ ეჭვი ებადება, ბისტროვიც გაჰყვება სოსინოვს მასთან მოსალაპარაკებლად, ის აღმოჩნდება იგივე პირი, რომელმაც ის მოატყუა. აღნიშნულ „ბელოვს" აპატიმრებს „ჩეკას" თანამშრომელი. მას აღმოაჩნდება აუარებელი ყალბი მოწმობები, ბეჭდები, დუბლიკატები და სხვა მასალები. შემდეგ აპატიმრებენ ყველა მის ამხანაგებს.

სასამართლო 15 დეკემბერს მოუნდა ბრალდებულების დაკითხვას, ბრალდებულები დანაშაულში გამოტყდნენ; საქმის გარჩევა გრძელდება.

ქრონიკა

— **გაზეთების მიწოდება სკოლებისათვის.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ ა.-კ. რესპუბლიკებში სასოფლო სკოლებისათვის ადგილობრივი გაზეთების მისაწოდებლათ ყოველთვიურად გადასდო 15 ათასი მან. საქართველოს სასოფლო სკოლებს გაეგზავნებათ „კომუნისტი".

— **დამზღვევი კასა** 17 დეკემბერს აღრიცხავს მედსანშრომის სექციის დაზღვეულ უმუშევრებს.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში პროფკავშირების განყოფილებაში მოთავსებულ ანგარიშს აწერია: ალმშენებელთა კავშირში,—უნდა იყოს: სახალხო კვების კავშირში.

— **ამ ჟამად საქართველოში** ითვლება დაახლოებით 700 პირველი საფეხურის კოოპერატივი.

— **აგრონომების არტელი.** აგრონომების ჯგუფს განზრახვა აქვს თბილისში დაარსოს საცდელ-საჩვენებელი არტელი.

— **მებამბეობა.** მიწად-მოქ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გაანგარიშებით, საქართველოს მებამბეობის საცდელ-საჩვენებელ მინდვრების მოსაწყობათ საჭიროა 12,800 მან.

— **სატყეო ტრესტის** ფოთის განყოფილება შეუდგა ნოვოროსის ცემენტის ქარხნისთვის საკასრე ტკეჩების გაგზავნას.

— **ტრამვაისათვის** საჭირო ისრების და ტრამვაის ლიანდაგის საჭიროებისათვის თბ. აღმასკომმა თავის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა 63,800 მან.

— **ფუნიკულიორის** შესაკეთებლათ ქ. აღმასკომმა გადასდო 7 ათასი მანეთი.

— **თბ. აღმასკომმა** გადასწყვიტა მომავალი წლიდან სანიტარულ-ქვეგანყოფილებასთან მოაწყოს სანიტ[illegible] განყოფილების სექცია.

— **პოლიტ-განათლება.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატთან მოეწყო პოლიტ-განათლების წრე.

— **ახალი საავადმყოფოები.** მომავალი წლიდან განზრახულია სართიჭალაში და გუნია-კალაში გაიხსნას საავადმყოფოები.

— **წყალის მიწოდება.** თბ. აღმასკომის ცნობით, ავჭალის წყალსადენმა 1924 წ. ქალაქს მიაწოდა ერთი მესამედით მეტი წყალი, ვიდრე 1914 წელს.

— **საქართველოში** ამ ჟამად 7 ქალაქშია წყალსადენი, რომლითაც წყალი ეძლევათ 15,993 ბინას, ამავე ქალაქებში უწყალსადენოთ არის 46,241 ბინა.

— **მალიარიასთან საბრძოლველათ.** საქ. ჯანსახკომმა საქარ. წარმოებადაწესებულებებს და ყველა კომისარიატებს დაუგზავნა მალიარიასთან და სხვა და სხვა ავადმყოფობასთან საბრძოლველათ, რჩევა-დარიგების ფურცლები, მუშა-მოსამსახურეთათვის დასარიგებლათ.

— **საენათმეცნიერო ჟურნალი.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების ჟურნალი „წელიწდეული", რომელშიაც მოთავსებულია მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევაი ქართულისა და მის მონათესავე ენების შესახებ.

— **საძოვარი ადგილები.** ამ ჟამად საქართველოში სახაზინო საძოვრების სივრცე შეიცავს 473,651 დეს. ხოლო სახმართო—214,101 დესეტინას.

— **მესაქონლეობის გასაუმჯობესებლათ.** სასოფლო-სამეურნეო განყოფილებამ გადასწყვიტა მესაქონლეობის გაუმჯობესების მიზნით საქონლის მოკლა-მოშენების საქმე შეისწავლოს პირველად—დუშეთის, გორის, თიანეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში.

— **დამზღვევ კასამ** გასული თვის განმავლობაში აღრიცხა 1782 შემთხვევა სიფილისით, ტუბერკულიოზით და სხვა დაავადმყოფების შემთხვევა. მათ შორის 1,186 კასის წევრია და 595 მათი ოჯახის წევრი.

— **ჯანსახკომმა** „ჩემოდან" დახმარების სახით მიღებულ 8.700 მან. მოსკოვში შეიძინა საჭირო იარაღები 60 საექიმო პუნქტებისათვის მაზრებში.

— **ტალახით აქიმობა.** ნოემბრის განმავლობაში ტალახის ვანებით აქიმობდა 122 დაზღვეული ავადმყოფი და 105 მათი ოჯახის წევრი.

შემთხვევები:

— **გაძარცვა.** 14 დეკ. რკინის გზის გადაღმა ელიას ხიდთან მოქ. სარქის ონიანცს დახვდა 7 შეიარაღებული ავაზაკი და წაართვეს 7 მან. და 30 კ.

— **დაჭრა.** 13 დეკ. ობსერვატორიის ქ. № 4. მოქ ალ. ხზიანმა სიმთვრალის დროს დასჭრა თავის ცოლი და მეზობელი ოგანეზოვი

— **ცეცხლი.** 13 დეკ. ლერმონტოვის ქ. № 12 მოქ. ნერსესოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— 14 დეკ. პაუტინის ქ. № 1 მოქ. ბარბარე მილოვას ბინას გაუჩნდა ცეცხლი.

— **შეიპყრეს** 11 დეკემბ. ვინმე არუთინიანცი, რომელსაც ბრალდება მარიამ ცანავას ბინის გაქურდვა (ლენინის ქ. № 40).

— **ქურდობა.** 13 დეკ. დავიდოვის ქ. № 3. მოქ. აიდინოვის სამზარეულოდან მოიპარეს 70 მ. ნივთები.

— 12 დეკ. კოლაურის ქ. № 3 გაქურდეს მოხ. შენგელაიას ბინა.

— 11 დეკ. ოტიშევის ქ. № 1, რიფსიმე მურადოვას ბინიდან მოიპარეს 50 მან.

— 13 დეკ. მუხრანის ქ. № 7, ბერის კასმანის მაღაზიიდან მოიპარეს სასწორი, ქურდი ლარიბოვი შეიპყრეს.

— 14 დეკ. კათოლიკების ქ. № 7, გაქურდეს მეხოვე ვოსკანიანცის ბინა. წაიღეს 88 მან. ნივთები.

— 13 დეკ. სუფსარქსის ქ. № 41 მოქ. ასკარ ჯაფაროღლის სამზარეულოდან მოიპარეს ჭურჭლეულობა.

— ამავე დღეს ნინოს ქ № 4, მოქ. სარქის ორგანოვის ბინიდან წაიღეს 61 მან ნივთები.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 7, გაქურდეს მარიამ გრუჩაოვას ბინა, წაიღეს 87 მან. ნივთები.

— 13 დეკ. არსენალის ქ. № 7, გაქურდეს მოქ ტროფიმე დეგუროვის ბინა, წაიღეს 1[illegible]0 მან. ნივთები.

ხელოვნება

ვ. დუროვის ჩამოსვლა.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ვ. დუროვი თავისი ცხოველებით.

მისი გასტროლები დაიწყება ამ დღეებში ძმ. ტანტების ცირკში.

— **რუსთაველის თეატრი** მზადდება შემდეგი პრემიერა ვერფელის „შპიგელმენშ".

— **„ტარდ"** დღეს 16 დეკემბერს ბორისოვის გასტროლი „შვილი ოთხი მამისა" კომ. 3 მოქმ.

— **სახელმწიფო კონსერვატორიაში.** კვირას, დეკემბრის 28-ს გაიმართება ახალგაზრდა ხელოვანთა გამოფენა მონაწილეობენ ახალგაზრდა პოეტები, მუსიკოსები, მომღერლები, მსახიობები, მხატვრები და მოქანდაკეები.

— **წით.-არმ. კლუბში** ოთხშაბათს, 17 დეკ. წითელ-არმიელთათვის წარმოდგენილი იქნება „ორი დარაჯი".

— **სახ. ოპერა** დღეს ოპერაში წარმოდგენილი იქნება „კარნავალი და შოპენიანა".

— **დრამა** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „სისათლე".

— **ლ. ფულდას** კომედიის „ვირის ჩრდილის" ქართულად დადგმის უფლება მიღებული აქვს მხოლოდ სახელმწიფო დრამატიულ სტუდიას.

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტი"-ს მუშკორები სურათების გამოფენაზე.

14 დეკემბერს, გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშკორები მუშათა ცხოვრების გამგის ამხ. გ. მალაშხიას ხელმძღვანელობით დილის 11 საათზე გავემგზავრეთ საქართველოს მხატვართა სურათების გამოფენის დასათვალიერებლად.

უნდა ითქვას, რომ მუშკორები საქ. მხატვართა გამოფენაზე პირველად იყვნენ და შთაბეჭდილებაც ამ გამოფენამ კარგი დასტოვა. აქ მრავალი სხვადასხვა სურათებია გამოფენილი საქართველოს მხატვრობისა; განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დამსწრეთა შორის ბევრი ისეთი სურათები, რომლებიც ნამდვილი ცხოვრებიდან არის აღებული, როგორც მაგ., ქეიფობა ქალაქ გარეთ, ტიპიური თბილისის კინტოები და ის [illegible], რომელიც მათ ყოველთვის ახასიათებდა ახლო წარსულში.

გამოფენაზე წარმოდგენილია რამოდენიმე ქანდაკებანი სხვადასხვა ავტორების, რომელთა შორის საგულისხმოა **ლენინის ძეგლის პროექტი** და მუშა, რომელიც მონობის ჯაჭვი გაუწყვეტია და თავისუფლებას ეტრფიალება.

უნდა გამოვტყდე და ვსთქვა, რომ ამ გამოფენას არ აქვს ჩაბერილი ის სული, რომელიც მუშურ-გლეხურ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს მოაგონებდეს მნახველს—აქ არ არის ის მუშა, რომელიც დღეს ჩაქუჩ-ნამგალით ხელში ახალ ცხოვრებას აშენებს ძველის დანგრევის შემდეგ და სახელმწიფოს ძალა-უფლებაც ხელში უჭყრია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ტიპიურ გლეხების სურათებს, როგორც მაგალითად—რაჭველი გლეხი, კახელი და სხვ.

საერთოდ მუშკორთა ექსკურსიამ საქართველოს მხატვართა გამოფენაზე კარგი შთაბეჭდილება მიიღო გამოფენის დათვალიერებით და მადლობის ღირსია როგორც ჩვენი რედაქცია, აგრეთვე გამოფენის ხელმძღვანელები, რომლებმაც მოგვცეს საშუალება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორებს გავცნობოდით მხატვრულ გამოფენას და ნაწარმოებს ამ დარგში, რის შემდეგაც მუშკორები გავეშურეთ ამ ერთი კვირის წინად იქვე შენობაში გახსნილ ზოოლოგიურ მუზეუმის დასათვალიერებლად, სადაც კვირას აუარებელი მნახველები დაესწრნენ, საიდანაც დილის 2 საათზე ჩვენი ექსკურსია ძლიერ ნასიამოვნები ყოველივე იქ ნახული ცოცხალი სურათებით და მდიდარი ბუნებრივი მოწყობილობით დავიშალენით.

მუშკორი ყარამანი.

დიდი გაუგებრობა

(რკ. გზ. პროფკავშ. საყურადღებოდ)

ქუთაისის დეპოში ძველი გამოცდილი მემანქანეები ჩამოაყენეს მემანქ. თანაშემწეებად. თანაშემწენი კი ზეინკლებად. მათ მაგიერ მოიყვანეს სხვა ხალხი სხვა დეპოებიდან. ხსენებულ ამხანაგებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა საბჭოთა ხელისუფლების უფრო მძიმე ეკონომიურ პირობებში და ახლა მათი ასე დასჯა დაჯილდოების მაგივრად ყოვლად უსამართლოა. „დორპროფსოჟო", მოგვაქციე ყურადღება.

მუშკორი რული.

აბორტის საკითხი მშრომელთა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

ჯანმრთელობის კომისარიატში ირჩევა ახალი დებულება აბორტების (მუცლის მოშლის) შესახებ.

როგორც გაზეთებიდან გავიგეთ, კომისიამ, რომელიც ამ დებულებას იმუშავებდა, უკვე დაამთავრა მუშაობა.

ამ საკითხით მეტად დაინტერესებული არიან მშრომელი მასები და სამწუხაროა, რომ ეს საკითხი დაისვა და გადაიჭრა ჯანმრთელობის კომისარიატში ისე, რომ მშრომელთა ფართე მასებმა მის შესახებ არაფერი იციან. თავის დროზე ეს საკითხი ფართე მსჯელობის საკითხს წარმოადგენდა მოსკოვის მუშათა პრესაში. თუ არ ვცდები, საკითხის გაზეთის ფურცლებზე დასმის ინიციატორი იყო თვით რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო, რომელმაც თავისი წერილით „მუცლის მოშლის შესახებ" გახსნა კამათი ამ საკითხის შესახებ. მთელი თვის განმავლობაში არ შეწყვეტილა კამათი ამ საკითხის გარშემო, აქტიური მონაწილეობა მიიღეს მის განხილვაში მშრომელმა ქალებმა, რომლებიც ასე დიდათ არიან დაინტერესებული ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტაში. ჩვენში კი ფართე დისკუსიის, მშრომელი მასებისათვის ამ საკითხის გაცნობის ნაცვლად ყველაფერი ეს წყდება ჯანმრთელობის კომისარიატის კაბინეტებში.

ვფიქრობ, რომ ეს არ არის მიზანშეწონილი.

თუ ჩვენ ვატარებთ, მაგალითად, ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის კამპანიას, ვუხსნით გლეხობას მის მნიშვნელობას და სხვა, მიუხედავათ იმისა, რომ გლეხი თავისი თვალებით ხედავს იმ უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ეწევა და ამიტომ მას ისედაც უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ გადასახადი მასვე მოახმარდება, რატომ არ არის საჭირო აბორტის (მუცლის მოშლის) საკითხის ფართე მასებში გადატანა და განხილვა?

ვფიქრობ, რომ ეს ასე მომხდარიყო, კომისიას, რომელიც ამ საკითხს იხილავდა, მეტი მასალა ექნებოდა მის ასე თუ ისე გადასაწყვეტათ.

იმედია, სანამ ეს საკითხი საბოლოოთ ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, აღნიშნული ნაკლი გამოსწორებული იქნება.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ საექიმო ცოდნათა გავრცელების საქმე ჩვენში ძლიერ მოიკოჭლებს, ძლიერ ცოტა კეთდება ამ ცოდნის მშრომელთა ფართე მასებში გასავრცელებლად. საექიმო ცოდნათა გავრცელება უნდა ხდებოდეს მასიური პრესის და [illegible] სპეციალური ჟურნალის საშუალებით, რადგან ასეთი ჟურნალები ძლიერ მცირე რაოდენობით ვრცელდებიან. საჭიროა იმ გაზეთებში, რომლებიც სოფლად და ქალაქის მუშებს შორის ფართოდ ვრცელდებიან, დაარსდეს სანიტარული კუთხე, სადაც ადგილი დაეთმობა წერილებსა და ცნობებს საექიმო დარგიდან. ამით ჯანმრთელობის საქმე დაუახლოვდება მშრომელთა ფართე მასებს და ადვილი იქნება იმ ღონისძიებათა გატარება, რომელთაც მიზნათ აქვთ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა.

გარუშა.

ფული გადვიხადე, საბუთი კი არ მომცეს

(რკ. გზის სამმართვ. საყურადღებოდ).

სადგ. თბილისში 1924 წ. 29 ნოემბერს საბარგო კვიტანციით № 214.781 ჩავაბარე სახაზინო ბარგი ქუთაისში გადასაგზავნად. ქუთაისში ბარგის მიღებისას დაიტოვეს კვიტანცი, ხოლო მის მაგიერ არც ერთ სადგურის თანამშრომელმა არ მომცა არავითარი საბუთი, გაწეულ ხარჯის გასამართლებლად. თუ ასეთი წესი არავითარ გაუგებრობას არ იწვევს კერძო ბარგის მიღების დროს, ეს არ შეიძლება ითქვას, როდესაც იზიდება სახაზინო ბარგი. გადამზიდი უყება იხდის გადასაზიდ ფულს, ხოლო მაგიერ არ ღებულობს არავითარ საბუთს, რაც შეუწყნარებელია, უსათუოდ უნდა შემუშავდეს სათანადო წესი.

მუშკორი ა. ნ—ლი.

ალაგმეთ ეს თავხედი ადამიანები.

(ქუთაისის მილიციის საყურადღებოდ).

ქ. ქუთაისში სალორიის აგარაკზე სცხოვრობს ქუთ. რკ. გზის ზეინკალი ვინმე ნესტორ გიორგაძე. როგორც ეს ნესტორი, აგრეთვე მისი მეუღლე მუშტი-კრივით და უზრდელის უშვერის სიტყვებით უმასპინძლდებიან მეზობლებს. როგორც მოვა ნამუშევარი სახლში პურის საჭმელად და დასასვენებლად მაშინვე მოუყვება ქალი მთელი ქ. ქუთაისის მითქმა-მოთქმას. მოსდგება ნესტორა ქვებით და კეტებით, მისი ცოლი კი ლანძღვა-გინებით და ასე მთელი ქუჩა მოთმინებიდან გამოსული სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი. ამის შესახებ ყველგან მიმართეს მეზობლებმა, მაგრამ ჯერ კიდევ ეს მკლავაძე ვერ აილაგმა სათანადოთ. ამისათვის მოვითხოვ. რათა იქნას ეს ორი სქესის „რაინდი" სამუდამოდ ალაგმული და გაწმენდილი ამ ქუჩიდან.

მუშკორი ე. ვ.

ჩვენი მუშათა კლუბი.

(ჩვენი ქუთაისელი მუშკორისაგან).

ერთი წელი არ არის მას შემდეგ, რაც ქუთაისის რკ. გზის კლუბში ხელოვნების მოყვარეობა გამოკეთდა და [illegible] მუშური სახე მიიღო... წინეთ თუ ეს კლუბი წარმოადგენდა 4 კედლიან ცარიელ შენობას, უშნოდ და ულამაზოდ შეთითხნილს, დღეს ამ კლუბს შეუძლია იამაყოს თავის როგორც შინაგანი მოწყობილებით, ისე გარეგნული სილამაზით. კლუბს ამ ერთი წლის განმავლობაში: მიემატა ორი ოთახი ფოიე და სამკითხველოს დარბაზი... გაუკეთდა ზედა ბალკონი. შელამაზებული იქნა კედლები. წინეთ თუ ორი სამი ელექტრონის ლამპები ჰკიდავდა შიგ, ეხლა შიგ მოწყობილია ჭაღები გაძლიერებული სინათლით. სცენიურ მხარეს ბევრი რამ შეეძინა: ნაწილობრივ დეკორაცია, ახეური, ევროპიული კოსტიუმები, ნაწილობრივ სასცენო ავეჯი და სხვა რა თქმა უნდა საცენო მხარეს კიდევ ბევრი აკლია და ჩვენც ვიმედოვნებთ კლუბის გამგეობის და ადგილკომის კვლავ ენერგიული მუშაობით ესეც მალე გაკეთდება.

მუშკორი ლერწამი.

ფაბრიკა-ქარხნებში.

[illegible]

პირველი თამბაქოს ფაბრიკა.

— **წარმოება.** ნოემბერში ფაბრიკამ დაამზადა 25,891,800 ცალი პაპიროსი და 3,650 გირვანქა თამბაქო.

— **ნედლეული და მანქანები.** დასამუშავებელი ნედლი მასალა, ფაბრიკას საკმაოდ მოეპოვება. მანქანები, ყველა ვარგებულია და სავსებით აკმაყოფილებს წარმოების მოთხოვნილებებს.

— **მუშაობის ნარდ წესზე გადასვლა.** ამ თვის პირველიდან მუშაობა სწარმოებს ნარდი წესით, რომელმაც დადებითი შედეგები მოიტანა; ეს კი გამოიხატება იმაში, რომ შრომის ნაყოფიერება გაიზარდა.

— **მატერიალური მდგომარეობა მუშების** თანდათან უმჯობესდება და განსაკუთრებით ნარდ სამუშაოზე გადასვლამ უფრო თვალსაჩინო გავლენა მოახდინა ამ მხრივ.

— **წერა-კითხვის უცოდინარობას ბოლო ეღება.** წერა-კითხვის უცოდინარი მუშებში აღარავინ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 50 წლიანებს; ზოგიერთები ამ ჟამად დარიგებული არიან წ.-კ. სალიკვიდაციო სკოლებში.

— **პოლიტ-წრე.** ფაბრიკაში გაიხსნა პოლიტ-წრე ქართულ ენაზე, სადაც მუშები მეცადინეობენ.

— **გამოუშვეს კედლის გაზეთი.** ამ უკანასკნელად გამოვიდა კედლის გაზეთის მეექვსე ნომერი, იგი გამოდის სისტემატიურად თვეში ორჯერ.

— **კულტმუშაობა.** საკუთარი ძალებით საკუთარ კლუბში თვეში 2-ჯერ 3-ჯერ იმართება წარმოდგენები. აქვე იმართება მუშების კოლექტიური, ხმამაღალი კითხვა გაზეთებისა და წიგნების, რა დროსაც ადგილი აქვს კამათს და აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

ინფ. ტონკა.

ჩვენი პასუხი ამხ. მახაიძეს.

(იხ. „კომუნისტი" № 240).

გაზეთ „კომუნისტის" № 240-ში მოთავსებულ წერილის საპასუხოდ გაცნობებთ, რომ განათლ. მუშაკთა კავშირის მე-13 რაიადგილკომმა გამოჰყო კომისია აღნიშნულ წერილში ბრალდებების გამოსარკვევად. კომისიამ გამოარკვია შემდეგი:

1. უზრდელობა და უდიერობა მოქ. გძელიშვილის მუშაობაში არ სჩანს, მხოლოდ კომისია აღნიშნავს რამოდენიმე ფაქტს მკაცრ მოპყრობისას მთხოვნელთა მიმართ.

2. გძელიშვილის მოქმედებაში არც ერთი ფაქტი ცბიერებისა და ბოროტებისა არ სჩანს.

3. დაკითხულ მასწავლებლების ჩვენებიდან ნათლად სჩანს, რომ გძელიშვილი მუდამ ანგარიშს უწევს პედაგოგიურ საბჭოს.

4. მართალია, ამხ. გძელიშვილს უჭირავს სამი ოთახი, მაგრამ დარაჯების ბინის გაუმჯობესების შესახებაც ადგილკომთან არსებულ შრომის დაცვის კომისიამ დროზე მიაქცია ყურადღება და მიიღო სათანადო ზომები. რაც შეეხება გძელიშვილს კერძო საქმეების შესრულებას დარაჯების მიერ, ამისათვისაც ისინი ღებულობდენ კუთვნილ ჯილდოს; ყოველივე ეს ხდებოდა შეთანხმებით.

განათლ. მუშ. კავშირის მე-13-ე რაიადგილკომის ვ/მ. ბეჟანოვი.

მეცნიერება და ტეხნიკა

კონტინენტების მოძრაობა

უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მოხდა მთელი რიგი მიწისძვრები. ამასთან დაკავშირებით, ინტერეს მოკლებული არ იქნება მოვიგონოთ ალფრედ ვეგენერის გენიალური თეორია და ის ცდები, რომლებიც მოახდინეს მეცნიერებმა ვეგენერის თეორიის შესამოწმებლათ

თითეული ჩვენგანი ისე შეეჩვია აზრს კონტინენტები უძრავია, რომ მას სისულელეთ მოეჩვენება მტკიცება იმის, რომ კონტინენტები მოძრაობენ ისე, როგორც უზარმაზარი ყინულის მთები ოკეანეს უსაზღვრო სივრცეში.

თუ მსოფლიოს პირვანდელი რუქა ასე დიდათ განსხვავდება დედამიწაზე ხმელეთისა და ზღვების განაწილების ახლანდელი სურათისაგან, ისმება კითხვა: როგორ მოხდა ისეთი ცვლილება, რომ იქ, სადაც წინეთ ხმელეთი იყო ოკეანე [illegible] თავის მრისხანე ზვირთებს? ერთადერთ მეცნიერულ განმარტებას ამ მოვლენისას იძლევა ვეგენერის თეორია, რომელიც გადმოცემული აქვს მას თავის წიგნში „კონტინენტებისა და ოკეანების წარმოშობა".

დედამიწის ქერქი შესდგება ორი სხვადასხვა სიმკვრივისა და სისქის ფენიდან: ზედაფენას, რომლის საშუალო სისქე უდრის 100 კილომეტრს, უწოდებენ „სიალს" მთავარი შემადგენელი ნაწილების—სილიციისა და ალუმინის მიხედვით; მეორე ფენას, რომლის სისქე უდრის 1500 კილომეტრს, ეწოდება „სიმა"—მთავარი შემადგენელი ნაწილების სილიციისა და მაგნიუმის მიხედვით. „სიალი" სცურავს „სიმში", როგორც ყინულიანი მთები სცურავენ ოკეანეში. „სიალის" ფენები სცილდება კონტინენტების საზღვრებს ისე, რომ ჩრდილოეთ ევროპის ფენები აღწევენ კუნძულ შპიცბერგენამდის და ფრანც იოსიფის მიწამდე, მაგრამ ოკეანეს სიღრმეში უკვე აღარ არის „სიალი".

ამ თეორიასთან დაკავშირებით მეცნიერებს ძლიერ აინტერესებდა საკითხი თუ რა მიმართულებით და რა სისწრაფით ხდება კონტინენტების მოძრაობა. პირველ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს შეიძლება ორი უდავო ფაქტის აღნიშვნა: მატერიკების განშორება პოლიუსებისაგან და მათი დაძვრა ეკვატორისაკენ, რითაც აიხსნება წინათ ერთი მთლიანი მატერიკის გაწყვეტა პოლიუსებთან; ამგვარის მოძრაობა დასავლეთით, რის გამო ჩრდილოეთ ამერიკა მოსწყდა ევროპას და სამხრეთ-ამერიკა აფრიკას და შეიქმნა ატლანტიის ოკეანე.

რაც შეეხება მატერიკების მოძრაობის სისწრაფის გამოკვლევას, ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს უმავთულო ტელეგრაფი რომელიც საშუალებას იძლევა სისწორით გამოირკვეს ამა თუ იმ ადგილის მერიდიანი. 1922 წ. ზაფხულში გამორკვეული იქნა გრენლანდიის სხვადასხვა ადგილები, რომლებიც გამოიკვლიეს აგრეთვე 1870 წ. და აღმოჩნდა, რომ ამ 52 წლის განმავლობაში ისინი წაიწიენ დასავლეთით 882 მეტრით, ე. ი. 18 მეტრით წელიწადში.

მატერიკების მოძრაობა გვიხსნის აგრეთვე ჩვენ სიალის სისუსტეს იმ ადგილებში, სადაც ხდებოდა მატერიკების გაწყვეტა. მატერიკების გაწყვეტის ადგილებში წარმოიშვენ ზონები, სადაც ხშირია,—სიალის ფენის სისუსტის გამო,—მიწისძვრები. მიწისძვრები არასოდეს არ წარმოადგენენ მიწის ქერქის შეცვლის შედეგს. მიწის ძვრას, ვეგენერის თეორიის მიხედვით, იწვევს მატერიკის დაძვრა ადგილიდან და ამიტომ მას სდევს ანალოგიური მოვლენები მსოფლიოს სხვა კუთხეებში. ასე მაგალითად საშინელ მიწის ძვრას იაპონიაში მოჰყვა მიწის ძვრები იტალიაში, ინგლისში, ესპანეთში და სხვაგან.

ფიზიკური კულტურა

ფოთი—რუბენის სახელობის გუნდი.

პარასკევს, 12 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ფოთელ ფეხბურთელთა და რუბენის სახელობის გუნდის შეჯიბრება.

მატჩი არ წარმოადგენდა დიდ ინტერესს, რადგან ფოთის გუნდმა ვერ გამოიჩინა ვერც ტეხნიკა, ვერც თამაშის ცოტათ თუ ბევრათ მაღალი კლასი და ამას გარდა მისი ინდივიდუალური შემადგენლობაც მეტად სუსტი აღმოჩნდა.

შეჯიბრება გათავდა რუბენის სახელობის გუნდის გამარჯვებით 2 : 0.

ფოთი—თბილისი

კვირას, 14 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე შესდგა ფოთელების მეორე მატჩი თბილისის შეკრებ გუნდთან.

თამაშის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ ძალთა თანასწორობა თავიდანვე დარღვეული იყო, რადგან ფოთის გუნდის ერთ-ერთი ფეხბურთელი (ცენტრ-ფორვორდი) ფეხის დაზიანების გამო თამაშში მონაწილეობას არ იღებდა. მართალია, მას მოედანი არ დაუტოვებია, მაგრამ თამაშს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მომენტები მის გარეშე ხდებოდა.

უნდა ითქვას, რომ ფოთელებმა მეორე მატჩი უფრო ხალისიანათ ჩაატარეს, აქ მათ საკმაო ტეხნიკა და სიმამაცე გამოიჩინეს, მაგრამ თბილისის რჩეულ მოთამაშეებთან შედარებით ისინი მაინც სუსტი აღმოჩნდე.

შეჯიბრება გათავდა 5 : 2 თბილისის გუნდის სასარგებლოთ.

ეგნატე ნინოშვილის ნაწერების გამოცემა

ეგნატე ნინოშვილის ნაწერების დასურათებული გამოცემა ნავარაუდევი იყო ამ წლის 1 მაისისათვის ავტორის გარდაცვალებიდან 30 წლის თავის შესრულების გამო.

ბეჭდვის საქმეს შევუდექით ამა წლის თებერვალში. ამავე დროს მხატვრებს დაევალათ შესაფერი სურათების დამზადება. რამდენიმე მხატვარი გურიაშიაც გაიგზავნა ამ საქმისათვის.

აპრილის დამლევამდე დამზადებული იყო ყველა სურათები და მათი კლიშეები, დაბეჭდილი იყო პირველი ტომის სრული ტექსტი, მხოლოდ ბიოგრაფია. მასალების შეკრების დაგვიანების გამო, მაისამდე ვერ მოესწრო.

სურათების დაბეჭდვა შეფერხდა შესაფერი ქაღალდის (ცარცის ქაღალდი) უქონლობის გამო. სახელგამის გამგეს ქაღალდის მოსკოვიდან მიღების იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

ასეთივე დაბრკოლება შევხვდა სურათების კლიშეების დასაბეჭდი საღებავის მომზადება-მოპოვების საქმეში, ბოლოს მხოლოდ სექტემბერში შევუდექით სურათების დაბეჭდვას.

ეგ. ნინოშვილის პორტრეტი და ძეგლის სურათი მხოლოდ ოქტომბერში დაიბეჭდა, რადგან მხოლოდ ამ დროისთვის გამოინახა შესაფერი ქაღალდი, რომელიც პოლიგრაფიულ ტრესტში აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა თავდაპირველმა აჩქარებამ თავისი კვალი დააჩნია გამოცემის საქმეს, როგორც ტექსტის ბეჭდვისა, ისე სურათების საქმეში. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ რადგანაც პოლიგრაფიულმა ტრესტმა ახალი შრიფტი ვერ მოგვაწოდა, იძულებული გავხდით ტექსტი ძველი შრიფტით დაგვებეჭდა.

სწორედ ამ წიგნის ბეჭდვის დროს შემოიღეს სტამბებში ახალი წესი ასოთ-ამწყობთა ანგარიშმიცემლობისა, რის გამოც შეუძლებელი გახდა მანქანიდან ამონაბეჭდის წაკითხვა-შესწორება (მესამე კორექტურა), მით უმეტეს, რომ სახელგამი არ კისრულობდა საამისო შრომისათვის ზედმეტი ხელფასის გაღებას ასოთ-ამწყობებისათვის.

ყოველივე ზემოხსენებულის გავლენით წიგნის გამოცემა ჩვენდა სამწუხაროთ ძალიან დაგვიგვიანდა და გამოცემაში ბევრი კორექტურული შეცდომებიც გაგვეპარა, მაგრამ სარედაქციო კომისიას და სახელგამს იმედი აქვთ, რომ მკითხველი ზემოთ დასახელებულ მიზეზებს მხედველობაში მიიღებს.

პირველი ტომი გამოვა ამა თვის დამლევს, მეორე ტომიც დამთავრებულია.

პირველ ტომში მოთავსებულია:

1. წერილი სარედაქციო კომისიისა.
2. ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფია რ. კალაძისა; მოთხრობები: გოგია უიშვილი, უცნაური სენი, პალიასტომის ტბა, არშიენი, ქრისტინე, სიმონა, კაცია და გუნება, ჯანყი გურიაში. წიგნს დართული აქვს თ. კიკვაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი და ეგ. ნინოშვილის იშვიათი პორტრეტი, მისი ფაქსიმილე, მისი ბიძისა და ხათუსავების სურათები, „სამზადი სახლი", სადაც ნინოშვილი დაიბადა, მისი ბიძის ოდა, სადაც ნინოშვილი გაიზარდა და გარდაიცვალა, მისი სამსახურის ადგილი ზესტაფონში, (ლომბერიძის კანტორა), მისი სურათი მოწაფეობის დროს, მისი საფლავი სოფ. ჩოჩხათში და მესამე დასელების არალეგალური წრე მისი ხელმძღვანელობით დაარსებული.

წიგნი შეიცავს 600 გვერდს, 26 სურათს, და ღირს უდლოთ სამი მანეთი. ე. ი. მხოლოდ იმდენი, რამდენიც დაჯდა.

ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებთა გამოცემის სარედაქციო კომისია

P. S. წიგნი უფასოდ მიეცემათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ეგნატეს ბიოგრაფიისათვის მასალა და ცნობები უსასყიდლოთ მოგვაწოდეს, მათ შეუძლიათ წიგნი მოიკითხონ ამხ. რაჟდენ კალაძის ბინაზე, მესამე ინტერნაციონალის ქ. (ყოფილი სერგეევის) № 12.

წერილები პროვინციიდან

„კომუნისტი"-ს სოფლელ კორესპონდენტთა ქსელის გასაფართოვებლად

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ დაამარცხა შინაური და გარეშე მტრები, მთელი მისი ყურადღება მიქცეულია შინაური აღმშენებლობის საკითხებისაკენ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქალაქის მუშებისა და სოფლის მშრომელი მასების მდგომარეობის საქმეში არჩვეულებრივი შედეგებია მიღწეული. დიდი მუშაობაა გაჩაღებული ჩვენი ცხოვრების ყველა დარგებში. ამ მუშაობაში უშუალოდ არიან ჩაბმული მშრომელი მასები.

მშრომელი ხალხი ახლა სწავლობს სახელმწიფოს გაძღოლას, ახლა ეჩვევა ამ საქმეს და ამ მუშაობის დროს, ბუნებრივია, მრავალ შეცდომებს ექნება ადგილი. ამ შეცდომებს, ნაკლს გამოსწორება უნდა. საბჭოთა ხელისუფლებას აქვს ორგანოები, რომლებიც ამ ნაკლს, შეცდომებს ეძებენ და მიუთითებენ მათ გამოსწორების საშუალებებზე. ასეთი ორგანოებია მუშათა და გლეხთა ინსპექცია, საკონტროლო კომისიები, პროკურატურა. მაგრამ ეს ორგანოები მარტო ვერას გახდებოდენ, რომ მათ დამხმარე არ აღმოჩენოდა მუშა და გლეხ კორესპონდენტების სახით.

მუშა, რომელიც ახლოა წარმოებასთან, თავისი თვალით ხედავს მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს, თვალს ადევნებს **ხომ არ ფლანგება ხალხის ქონება, ბოროტად ხომ არ იყენებს ხალხის ნდობას** რომელიმე „სპეცი" და თუ რაიმე შენიშნა მშრომელი ხალხის საზიანო, ათავსებს ცნობას გაზეთში. სათანადო ორგანოები აქცევენ ყურადღებას ამ ცნობას და იღებენ საჭირო ზომებს.

ქალაქში ფართოდ მოეწყო მუშა-კორესპონდენტების ქსელი. არ არის არც ერთი სახელოსნო, ქარხანა, დაწესებულება, უბანი, რომ იქ არ იყოს მუშა-კორესპონდენტი. ასეული მუშების ფხიზელი თვალი ადევნებს თვალყურს, რომ ყველაფერი ჩვენს სახელმწიფოში კეთდებოდეს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და არა საზიანოდ.

სოფლის შესახებ კი ჯერ ეს არ ითქმის. გლეხ-კორესპონდენტების ქსელი სუსტად არის განვითარებული. კერძოდ ჩვენს გაზეთს აუარებელი წერილები მოსდის პროვინციიდან, მაგრამ იმ კორესპონდენტების რიცხვი, რომლებიც სისტემატიურად გზავნიან კორესპონდენციებს, ძლიერ ცოტა არის.

რედაქციამ მიზნათ დაისახა მომავალში გამოასწოროს ეს ნაკლი.

საქართველოში არ უნდა დარჩეს არც ერთი თემი, სადაც „კომუნისტს" არ ეყოლება თავისი კორესპონდენტი.

სოფლის ცხოვრების ნაკლის გამოსწორება არ შეიძლება, თუ თვითონ გლეხობა, ადგილობრივი მცხოვრებლები, არ მიუთითებენ მასზე.

ბევრი მოხელე სოფლად ბოროტად იყენებს თავის უფლებებს. ეს უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში და თუ ასეთმა ცნობამ რედაქციამდი მოაღწია (ამის შესახებ უნდა მოგვწეროს ჩვენმა კორესპონდენტმა), მის თვითნებობას ჩქარა მოეღება ბოლო: სოფლიდან გამოგზავნილ წერილებს თვალყურს ადევნებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია და საკონტროლო კომისია და ჩვენი სოფლელი კორესპონდენტების მიერ აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად იღებენ სასწრაფო ზომებს.

ჩვენს სოფლელ კორესპონდენტს არ უნდა ეშინოდეს ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობის ნაკლის მხილების. მან გაბედულათ, უშიშრად უნდა გამოააშკარაოს ადგილობრივი ცხოვრების ბნელი მხარეები. **არავითარმა მუქარამ არ უნდა შეაშინოს ის, რადგან მისი ხელუხლებლობის სადარაჯოზე დგანან სასამართლოს და სხვა სათანადო ორგანოები.**

მათ, ვინც სდევნის მუშა და გლეხ-კორესპონდენტებს, სასტიკად სჯის საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლება იმდენათ დიდ მნიშვნელობას აძლევს გლეხი კორესპონდენტების და მათის დაცვის საკითხს, რომ საბჭოების საკავშირო ყრილობის დღის წესრიგში შეტანილი იქნება სპეციალური მუხლი მშრომელ კორესპონდენტების დაცვის შესახებ.

ჩვენი კორესპონდენტი სოფლად უნდა იყვნენ გლეხები, სოფლის მასწავლებლები, კომკავშირისა და პარტიის წევრები, საბჭოთა და პარტიული მუშაკები.

სოფლის ცხოვრების არც ერთი კუნჭული არ უნდა დარჩეს გაუშუქებელი.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოფლის ყველა საჭიროებების დაკმაყოფილება და ადგილობრივ მუშაობის ნაკლის გამოსწორება.

თავის მხრივ რედაქცია იღებს ზომებს, რომ სოფლის ცხოვრება რაც შეიძლება ფართედ შუქდებოდეს „კომუნისტის" ფურცლებზე, რომ რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი დაამყაროს თავის სოფლელ კორესპონდენტებთან.

დამნაშავენი უნდა დაისაჯონ

(წერილი სვანეთიდან)

1923 წელში, ზემო-სვანეთის დამშეულ გლეხობისათვის ს. ს. ს. მთავრობამ გადასდვა ხუთი ათასი ფუთი სიმინდი სრულიად უფასოდ დასარიგებლათ. ამ რაოდენობიდან სამი ათასი ფუთი უნდა გაგზავნილიყო ქუთაისის გზით ახალქალამდი და იქიდან კი თვით ხალხი გაიტანდა, ხოლო ორი ათასი ფუთი კი უნდა წასულიყო სამეგრელოს გზით—ჯვარზე.

პირველი ნაწილი—სამი ათასი ფუთის მაგივრათ ერთი ათასი ფუთი შეძენილ იქნა ქუთაისში, ხოლო მეორე ნაწილი ოთხი ათასი ფუთი წაღებულ იქნა სამეგრელოს გზით . . . . ზუგდიდში და შემდეგ ალლაჰმა უწყის, რა ბედი ეწვია, ერთი კი ყველასათვის ცხადია:—სვანეთის მშრომელთ არ უნახავთ არც ერთი ფუთი!

საქმე შემდეგში იყო: აღნიშნული სიმინდის დანიშნულებისამებრ დარიგებისათვის უნდა ბოლომდი ეხელმძღვანელებია სვანეთის აღმასკომს, რადგანაც ეს უფლება მხოლოთ მას ჰქონდა. ს. უშკულის „სულიერმა მამამ" მღვდ. მიხა ნიჟარაძემ გაიგო, რომ სვანეთს მთავრობამ მისცა ბლომათ სიმინდი და გადასწყვიტა ესარგებლა თვითონ, გაესქელებინა თავისი ჯიბე. იმან რაღაცა ადვილათ მოახერხა, მიიღო აღმასკომიდგან სათანადო რწმუნების ქაღალდები იმ **ათასი ფუთი სიმინდის** მიღებაზე, რომელიც ქუთაისში ეწყო სვანეთისათვის.

საქმე „მოჩახრაკდა" და „მამა" მიხა ნიჟარაძემ მიიღო ათასი ფუთი სიმინდი. „მამა" მიხამ საწყობიდან გამოტანისთანავე გადაახურდავა სიმინდი... ნაღდ ფულზე, შეიძინა რაც რამ სჭირდებოდა თავისი ოჯახისათვის, გადასდვა (ცალკე პატარა თანხა შვილების გამოსაზრდელათ,*) და შეუდგა თავისებურ ქეიფს. მთელს სვანეთში ცნობილია „მამა მიხა", როგორც მისი მამა—„მამა" გიორგი—განთქმული მოქეიფე. ვის არ გაუგონია მათ მიერ ეკლესიაში წირვის დროს „კიჟო"-თი (კიჟო-ხის დიდი ჭურჭელია, ჩავა დაახლოებით ნახევარ ვედრაზე მეტი. ხმარობენ წყლისთვის და არაყისათვის) არაყის დალევა, „მრევლის სადღეგრძელოთ". ქუთაისში მოქეიფე „მამა" მიხას უკვე ამ ჩნევდა ყველა, „ძველებურათ" ეტლში, მჯდომარე სავსე ბოთლებით, არღნით და სხვა.

კაცო, რა ქენი, ეს ვისი სიმინდი გაყიდე, შენ ვინ მოგცა მაგდენიო? ეკითხებოდნენ მიხას მისი ნაცნობი ქუთაისელი მიკიტნები.—ვისი და ჩემი, რამდენი ხანია არასფერი არ მოუციათ ჩემთვის და მაშ ტყუილა ხომ არ უნდა ვემსახურო მრევლს, [illegible] იმათი საკურთხისა და სხვა ქელეხის ამარა ხომ ამომძვრა სული. ასეთი იყო უტიფარი და უსირცხვილო პასუხი მღვდლისა.

ჩვენ იმისგან უკეთესს არც მოველოდით, მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ მღვდ. ნიჟარაძეს უბრალო პასუხისგებაც არ უგრძენია ხალხის წინაშე, მის მიერ გაწეული უდიდესი ბოროტების გამო.

გლეხები კი ამბობენ ზოგნი: „ჩვენთვის არავისაც არ გაუმტანია და არ მოუცია არც ერთი ფუთი სიმინდი, თორემ მართლა რომ ყოფილიყო ქუთაისიდან კი არა და თუ გინდ ჯოჯოხეთიდან ყოფილიყო ჩვენვე მოვიტანდითო."

იმედია, რომ ამ ცნობას მიაქცევენ სათანადო ყურადღებას ის ორგანოები, რომელნიც მოწოდებულნი არიან ებრძოლონ ყოველ ბოროტებას,—გამონახავენ დამნაშავეებს, დასჯიან მათ და მით აგრძნობინებენ ყველა მუქთახორებს, რომ მშრომელთა ლუკმის მითვისება და გაფლანგვა არავის არ შერჩება.

ბ. მარგიანი.

---

*) აღნიშნული თანხა აღარ დასჭირდა შვილებისათვის, რადგანაც საქმე ისე მოაჭახრაკა, რომ მისი ორივე შვილები სწავლობენ თბილისში „მუშფაკში" და ღებულობენ სტიპენდიას.

სოფ. ზემო ჭალადიდი

(სენაკის მაზრა)

ამ თემში შედის 400 მოსახლე გლეხი. 1919 წ. ამ თემში შემავალ სოფელ სირიაჩქონში დაარსდა კოოპერატივი „რიონ"-ის სახელწოდებით, რომელშიაც ვაჭრობა კარგ დონეზე იყო და კარგი შემოსავალიც ჰქონდა; მაგრამ 1920 წ. იქნა კოოპერატივის ახალი გამგეობა არჩეული, რომელიც შეეჩვია ხალხის ქონების ჭამას 1920 წლის მიწურულში და 1921 წლის დასაწყისში ხალხს თავის კოოპერატივში შეტანილი ფულიდან დარჩა მხოლოდ დუქანი. ფული კი, რაც ტრიალებდა კოოპერატივში, ადგილობრივი კოოპერატივის ნოქრისა და გამგეობის მიერ შეჭმულ და გაფლანგულ იქნა. ამისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია.

ეს თემი ქალაქ სენაკზე დაშორებულია 13—14 ვერსით, აბაშაზე 18—20 ვერსით და ლანჩხუთზე 10—11 ვერსით და ზამთრობით არის დიდი ტალახი, სადაც ურმით წასვლა დიდ ჯაფას მოითხოვს, ამიტომ ადგილობრივი გლეხის ნაშრომი უვარდება ჩარჩ-ვაჭრებს მუქთად.

ამ თემში კი არ არსებობს სახელმწიფო სავაჭროები. საჭიროა ახალ-სენაკის რაიკოოპერატივთა კავშირმა გახსნას ზემო-ჭალადიდის თემში ერთი თავისი განყოფილება, სადაც შეეძლება გლეხს შეიძინოს პირველი მოთხოვნილების საგნები და მიყიდოს კოოპერატივს თავისი ნაშრომის ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს სოფლის ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას.

[illegible]

კირცხის თემის საბჭოს საყურადღებოთ

(ზუგდიდის მაზრა)

ზედმეტია ლაპარაკი კარგად მოწყობილ გზების მნიშვნელობაზე.

გზების უქონლობა ხელს უწყობს ყოველ ბოროტ-მოქმედთა ქვენა საქმიანობას და მმართველობას-კი ხელს უშლის მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

განსაკუთრებით ჩვენში—ზუგდიდის მაზრაში აშკარაა ეს, ვინაიდან აქაური მთაგორიანი, თუ ტყეებით ან ჭაობებით დაფარული მიდამოები ყოველთვის საუკეთესო თავშესაფარი იყო ყაჩაღთა ბრბოებისა, ხოლო მიუვალი და მიუდგომელი მთავრობისათვის.

საქართველოს ბევრ მაზრებში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიყვანა ახალი გზები, შეაკეთა ხიდები და სხვ. ესავე არ ითქმის ზუგდიდის მაზრაზე. მართალია გაკეთებით აქაც ბევრი გაკეთდა ამ მხრით და ამ ნაკეთებთა შორის ბევრი თვალსაჩინო და საუკუნოც არის, მაგალითად ისტორიული ხიდის განახლება ხობის-წყალზე მუხურში, მენშევიკების მიერ ანაფეთქი ჯუმის ხიდის ხელახლად აგება, ზოგიერთ ძველი გზების შეკეთება და ზოგან ახალი გზების გაყვანა, მაგრამ მაინც ეს მუშაობის კამპანია სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

იმ ადგილებს რომ თავი დავანებოთ, სადაც აუცილებელი საჭიროა ახალი გზების გაყვანა, მაგრამ არ გაჰყავთ, თვით გაჭრილ-გაყვანილი გზებიც ბევრგან არ არის დასრულებული; მაგალითად კირცხის თემში, ზუგდიდიდან ყულისკარითა და ჯიხასკარით მიმავალი საფოსტო გზატკეცილი უკვე სამი წელიწადია გაჭრილია, მაგრამ მის დასრულებას არა ეშველა-რა. გზა გააფართოვეს, მაგრამ ზედ არაფერი მოაყარეს და ვინაიდან ნიადაგი წმინდა თიხაა, აქ ისეთი სატლაპოები გაჩნდა მთელი თემის მანძილზე, რომ შიგ უხიფათოთ გავლა, არამც თუ ცხენით და ურმით, თვით ქვეითადაც-კი გასაჭირია და ეს მაშინ, როდესაც აქვე რამდენიმე ათეული საჟენის მანძილზე ახლავთ ჭანის-წყლისა და ხობის-წყლის ნაპირები, რომელნიც უზომოთ მდიდარია საუკეთესო გზის მასალით ქვა-სილა-ხრეშით. გარდა ამისა გზის ორივე ნაპირებზე მჭიდროთ არიან ჩამომწკრივებულნი საკმაოდ შეძლებული მცხოვრებლები, რომელთაც საკუთარი ხარ-ურმით შეუძლიათ სულ ორ დღეში გააკეთონ თავიანთი მოსახლობის წინ მდებარე გზა.

მაგრამ ამას არ სჩადიან და როგორც თვითონ თავიანთი პირუტყვებით, ისე გამვლელ-გამომვლელნიც ჯოჯოხეთურად იტანჯებიან ამ ტლაპოებში.

რას უნდა მიეწეროს ეს გარემოება, თუ არა მცხოვრებთა დაუდევრობას, ხოლო კირცხის თემის საბჭოს მხრით-კი სამი წლის განმავლობაში ამ სურათის გულგრილად ცქერა—ეს პირდაპირ დანაშაულია.

საჭიროა მთელი სიფხიზლე, მეტი ყურადღება საზოგადო და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმისადმი და მეტი აღმშენებლობითი უნარის გამოჩენა ადგილობრივ ხელისუფლების მიერ.

● გ—ია.

პროვინციის ქრონიკა

— **უფასო საექიმო დახმარება.** აჭარის სახ. კომისარიატის დადგენილებით, ღარიბებს გლეხებს სამაზრო აფთიაქებიდან წამლეულობა მიეცემათ უფასოთ.

— **ფოთში საქ. წითელი ჯვარი** ხსნის ამბულატორიას და აფთიაქს, ღარიბებს მცხოვრებთათვის უფასო საექიმო დახმარების გასაწევად.

— **სენაკის მაზრაში** 10 დეკემბრიდან დაიწყო დამზღვევ კასების ხელახალი არჩევა.

— **სოფ. დანდალოში.** (აჭარაშია) გაიხსნა ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობი სკოლა. სკოლაში ამჟამად ირიცხება 15 ქალი.

— **გლეხკომის მუშაობა.** სოფ. საქობის გლეხკომმა (სიღნაღის მაზრა) დღემდე გაიღო 200 მ. გლეხკომისათვის უფასო საექიმო დახმარების აღმოსაჩენათ. აგრეთვე ღარიბ გლეხებს მიეცა 35 ფ. პური და 100 ფუთი სიმინდი.

— **ახალი ხიდი.** სოფ. მუხურაში (სამეგრელო) და ხობზე ამ ახლო ხანში დაამთავრებენ რკინა-ბეტონის ხიდის აგებას.

— **ზუგდიდის** აღმასკომის ინიციატივით ადგილობრივი ხეივანი გამშვენიერებული იქნება ახალი ნერგებით და შემოღობილი მესერით.

— **ახალციხის** აღმასკომმა დაადგინა სასოფლო-სამეურნეო იარაღები ღარიბეს გლეხებს ათხოვოს უფასოდ.

— **ცაიშის აბანო.** ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა შეაკეთა და გაამშვენიერა სოფ. ცაიშის გოგირდის აბანო, სადაც აშენებული იქნა ღამის გასათევი სახლებია.

— **საქონლის ჭირი სამეგრელოში** თითქმის სრულებით მოისპო. სულ აცრილი იქნა 655 მსხვილფეხა საქონელი.

— **ქუთაისის** სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა თბილისში შეიძინოს იარაღ-მანქანები **თავისი სახელოსნოებისათვის.**

— **კახეთში მშვენიერი თბილი** შემოდგომის შემდეგ 6 დეკემბრიდან ტაროსი შეიცვალა, გაავდარდა, რასაც სიცივე და ყინვა მოჰყვა.

— **თელავში** ამჟამად დიდძალი საკლავი იხოცება და ცოცხალ საქონელთან შედარებით ხორცი ძვირათ იყიდება. ძროხის ხორცი 15 კ., ღორისა—20 კ., ცხვარი—23 კაპ. სოფელში 5 კ. ნაკლებია.

— **თელავში კვლავ ფართლის** კრიზისია. აქაურ კოოპერატივებს იშვიათად მოაქვთ ფართალი, რომელიც 2—3 დღეში თავდება და დანარჩენ დროს მოსახლეობა ისევ კერძო ვაჭრების ანაბარა რჩება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ყველა სამაზრო აღმასკომებს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

პროლეტარული სასამართლოს დასაახლოვებლად გლეხობის ფართო წრეებთან, აგრეთვე შორეულ ადგილას მცხოვრებ გლეხებისათვის სასამართლოში გამოცხადების გასაადვილებლად, აუცილებლად საჭიროა, რომ სახალხო სასამართლოებმა სისტემატიურად მოაწყონ ხოლმე სესიები თემებსა და სოფლებში. საბჭოთა მართლმსაჯულება მხოლოდ ამ გზით გახდება მისაწვდომი ხალხისათვის. და გარდა ამისა გლეხს აღარც იმ ზედმეტი დროის დაკარგვა და ხარჯის გაწევა მოუხდება, რასაც იგი სასამართლოში გამოცხადებას ანდომებს ხოლმე. აი ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანების განსახორციელებლად მართლმსაჯულების ორგანოებმა და აღმასკომებმა უნდა იხმარონ ყოველგვარი ღონისძიება და ამოქმედდენ ერთად, შეთანხმებულად, რადგანაც უამისოდ დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ აღმასკომის პრეზიდიუმმა იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება იმ დახმარებას, რომელიც აღმასკომს შეუძლიან და მოვალეც არის გაუწიოს მართლმსაჯულების ორგანოს. ამიტომაც იგი მოუწოდებს ყველა სამაზრო აღმასკომებს, რათა მათ ყოველგვარად ხელი შეუწყონ სახალხო სასამართლოებს სესიის მოწყობაში, მისცენ მას მიმოსვლისათვის საჭირო საშუალება და მოუხერხონ სადგომი იქ, სადაც სესია დანიშნულია.

ეს სადგომი ისეთი კი უნდა იყოს, რომ გამოადგეს სახალხო მსაჯულებსაც. მოსამართლისა და ადგილობრივ გლეხებ შორის განუწყვეტელი კავშირი და ურთიერთობა უეჭველად საწინდარია იმისა, რომ ჯერ კიდევ პოლიტიკურად ჩამორჩენილ ხალხის გონებაში თანდათანობით გაიღვიძებს და გაღრმავდება პროლეტარული სამართლის შეგნება. გარდა ამისა [illegible] მართლმსაჯულების ორგანოსი სოფელთან [illegible] ნათლად [illegible] მას, რომ საბჭოთა სასამართლო [illegible] ლი არ არის ხალხთან, რომ იგი ნამდვილად ხალხური სასამართლოა. მხოლოდ ამ პირობებში სასამართლო იქნება ცოცხალი, ნამდვილი ანარეკლი იმ სამართლის შეგნებისა, რომელიც ტრიალებს ხალხში. ზემოხსენებულის გარდა იმისათვის, რომ სახალხო მსაჯულმა მთელი თავისი გულმოდგინებით მოანდომოს მასზე დაკისრებული მოქალაქებრივი მოვალეობის შესრულებას, საჭიროა, რომ არავითარი შევიწროება და უხერხულობა არ განიცადოს. ხშირად სახალხო მსაჯულად დაბარებულ შორი სოფლიდან მოსულ გლეხს ღამის გასათევი ბინაც კი არა აქვს. აი აქ უნდა დაეხმაროს მაზრის აღმასკომი სასამართლოს და სახალხო მსაჯულად გამოწვეული გლეხი ბინისა და სხვა მხრივ ისე მოაწყოს, რომ მან სამსჯავრო სხდომებში მონაწილეობა არ მიიჩნიოს ისეთ უსიამოვნო და მძიმე მოვალეობათ, რომელიც უნდა როგორმე და რაც შეიძლება მალე მოიშოროს თავიდან. ამასთან ერთად აღმასკომმა უნდა ყოველივე ღონე იხმაროს იმისათვის, რომ სესიის დამთავრებისას, სახალხო მსაჯულთ მიეცეთ გასამრჯელო სასამართლო წყობილების დებულების 27 მუხლისამებრ, რომლის ძალითაც მან, ვინც სოფლად მუშაობს და [illegible] ირჩენს თავს, სახალხო მოსამართლის ორდერით აღმასრულებელი კომიტეტის თანხიდან დაუყოვნებლივ მიიღოს დღიური სახარჯო.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. გარძიელი.

12 დეკემბერი 1924 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **ქალაქის რაიკომის** ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში **მოწვეულია ქალაქის რაიკომის დიასახლისების თათბირი.**

დასწრება სავალდებულოა ყველა დიასახლისებისთვის და მათ შორის მომუშავე ქალთა ორგანიზატორებისთვის.

მდივანი ხტურუა.

ქალთა განყ. გამგე კობალაძე.

— 16 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში **მოწვეულია ურთიერთ დამხმარე კომისიის სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა კომისიის ყველა წევრებისთვის, სახელდობრ: ამხ. ზინჩენკო, ჯაფარლი, სოლომონიანი და ნოვიკოვი.

კომისიის თავმჯდომარე კირვალიძე.

— **არსენალის რაიკომის** ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 16 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტ. კლუბში შესდგება **ქალთა დელეგატების კრება.**

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისა და ქალთა ორგანიზატორებისთვის.

მდივნის მაგიერ მელაძე.

— ოთხშაბათს, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში **შესდგება საქართ. კომუნისტ-სტუდენტების პირველი კონფერენცია.**

დღის წესრიგი: 1 საქ. კომუნისტ-სტუდენტობის მორიგი ამოცანები, 2. თბილისის პროლეტსტუდენტების ფრაქციის ბიუროს ანგარიშები, 3. სტუდენტთა კოოპერატივის გამგეობის ანგარიშები, 4 განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება, 5. უმაღ. სასწავლებლების უჯრედებია ბიუროების არჩევნები.

მანდატების მისაღებათ უნდა მიმართონ ქალაქის რაიკომში.

დასწრება სავალდებულოა უმაღ. სასწავლებლების ბიუროების და კომკავშირის უჯრედების ყველა წევრებისათვის.

მდივანი ხტურუა.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფსექციათა აღმასბიურო წინადადებას აძლევს ყველა სტუდენტ-მოსამსახურეებს გამოცხადდენ აღმასბიუროში ამხ. ბერიშვილთან 15—16 დეკემბრამდე 6—8 საათამდე.

აღმასბიუროს თავმჯდომარე: ხუნდაძე.

განცხადებები

12 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი დედა.

გარბალე კალანდაძე

დაკრძალვა მოხდება 16 დეკემბერს, სამშაბათს, ს. ხიდისთავში (ოზურგ. მაზ.), რასაც აუწყებენ საზოგადოებას შვილები: მარო, ტასო, ელისაბედ, თედორე, ვარდენ და ლუკა კალანდაძენი.
377 2 2

თბილისის საბჭოს სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილება

სთხოვს ყველა თბილისში მდებარე სამრეწველო დაწესებულებებს, სახელმწიფო, საკოოპერაციო და კერძო, რომელთაც

მექანიკური მამოძრავებელი

აქვს ან და რომელთაც, თუ ასეთი მამოძრავებელი არა აქვთ, ჰყავთ დაქირავებული მუშა ან არტელის წევრი არა ნაკლებ ათისა,

გამოაგზავნონ თავისი წარმომადგენლები

ოთხშაბათს, 17 დეკემბერს საღამოს 7 საათზე აღმასკომის დარბაზში ინსტრუქციების მისაღებათ ყოველთვიური საანგარიშო სტატისტიკური ფურცლების შევსებისათვის, რომელთა შევსება სავალდებულოა ზემოაღნიშნულ დაწესებულებების მიერ, თანახმად მთავრობის დადგენილებისა 1923 წლის 21 დეკემბრის თარიღით, № 116.

ეს განცხადება არ ეხებათ იმ დაწესებულებებს, რომლებიც ექვემდებარებიან ს. მ. ფ. ს. და თბილისის აღმასკომს.

სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილების გამგე ა. რუხაძე.
ეკონომიური სტატისტიკის სექციის გამგე ი. ვარძიელი. ნ. 385 1—1

სახელმწიფო ტრესტის
„ლაკოკრასა"-ს
გამგეობა

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მან გენერალური წარმომადგენლობის უფლება ჩრდილოეთ კავკასიაში და ამიერ-კავკასიაში გადასცა სამხრეთ-აღმოსავლეთის საოლქო სააქციონერო სავაჭრო საზოგადოებას

„იუვაკტორგ"-ს

მისი კანტორის „იუგხიმტორგ"-ის სახით, რომელიც ეწევა ვაჭრობას ქიმიური საქონლით.
კანტორა მოთავსებულია ქალ. დონის როსტოვში, ენგელსის ქუჩაზე, № 40
ყველა შეკვეთები უნდა გაიგზავნოს აღნიშნულ კანტორაში. ||| კანტორა „იუგხიმტორგ"—დონის როსტოვი, ფრ.-ენგელსის ქ. №—40
ტელეფ. 11—01 და 12—85
საღებავების და ქიმიური საქონლის მთავარი საწყობი—დონის როსტოვი, ბუდიონის პროსპ. № 28. ტელეფ. № 21—72
საბითუმო-საცალო მაღაზია—ბუდიონის პროსპ., № 31, ტელ. 21—81
განყოფილებები—მაღაზიები: კრასნოდარში, არმავირში, პიატიგორსკში, ბაქოში და თბილისში.
შეკვეთა უნდა გაიგზავნოს „იუვაკტორგა" თბილისის სააგენტოში, სოლოლაკის ქ. № 4
ნ. № 384 1—1

სახელმწ. დრამა
დღეს, 16 დეკემბერს
სინათლე
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ ახმეტელის
ნ. № 361 3—3

სახელმწ. ოპერა
დღეს, 16 დეკემბერს
1. კარნავალი
2. შოპენიანა
მიხ. მორდკინის კომპოზიცია
დადგმა—სერგეევის
ნ. № 381—1—1

საქ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის
ლატარიის მომწყობი კომისია ამით აცხადებს, რომ ს. ს. ს. რ. ცაკის პრეზიდიუმის ნებართვით
ლატარიის გათამაშება მოხდება 1925 წ. თებერვლის 28
ნ. 390 2—1

ს. კ. პ. ცეკას გამომცემლობათა მთავარი კანტორა გაუქმებულათ აცხადებს
მანდატს, რომელიც ამა წლის ოქტომბრის 23-ს № 11776-ით მიეცა მოქალაქე ალექსანდრე ისაკიას (განცხადებათა შემკრები აგენტი)
2—1

„თეატრი და ცხოვრება"
მორიგი 18 (21) ნომერი გამოვიდა შემდეგი შინაარსით:
მეთაური—ყაპახზე უნდა გავიმარჯვოთ! ის. ვარაზაშვილი—საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს. პეტრე მირიანაშვილი—ენის კულტურისათვის. ეტიუდები: დ. თურდოსპირელის—გუგა ნარჩილს, ა. ბუჩებიშვილს, შალვა გომართელს, ილ. ჩავლეიშვილი—ორიოდე სიტყვა გურულ სიმღერებზე. სოფ. მგალობლიშვილი—ჩემი თავგადასავალი. [illegible]—სპარსული მწერლობა. სანდრო შანშიაშვილი—პაოლოყურა და ელთერო (ღმერთების პანთეონიდან). ლექსები: ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, [illegible]; ა. გ. ალექსიძე—რა არის ცეკვა ან რა მნიშვნელობა აქვს. იოსებ იმედაშვილი—ქართველ [illegible] ლექსიკონი: ძუკუ ლოლუა. ჯაფარ-ფამა—იუზა ზარდალიშვილი. ძველი მუშა—[illegible] ვასო ურუშაძე. სურენ [illegible]—[illegible]. [illegible] მთვარაძე—საგარეჯოს თეატრი, X—საბავშვო მწერლობა. სახელოვნო მიმოხილვა. ფ. 25 კ. მიიღება წლიური ხელისმოწერა 1925 წლისათვის.
ნის. 383. 1—1 რედაქტორ-გამომცემელი: იოსებ იმედაშვილი.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დაარსებული
მიხეილ მედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაავადებულ იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—13

ექიმი
ბ. გ. მებრაზიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეციალური მკურნალობა მალარიისა. ელექტრო-სინათლე-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტგენის სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
13—4 2746

ექიმმა
ზანდუკელმა
განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი
ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.—82.
№ 2797—25—21

კინო-პალასი
ორშაბათ დან 15 დეკემბრიდან
სიყვარულისა და ცხოვრების ტალღები
შეუდარებელი ფერნ. ანდრას მონაწილეობით
მხატვრული დრამა 6 ნაწილად. ნ. 386 1—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. 25—16 № 2850

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—9

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო
ტერაპევტიული განყოფილებით
სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.
ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13. ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.
ნის. 372 100—2

ექიმი
კ. რ. ვართანოვი
სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს.
მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.
25—1

ექიმი
შუხმანი
სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდი
ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის ქუჩის პირდაპირ. 2672—25—5

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პრო. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)
25—5

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35
25—6

დავკარგე კავშირის დროებითი წიგნაკი № 3 7 ვასო ლელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3071 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი, მოცემული თბილისის სამხედრო სამაზრო კომისარიატისაგან და მოწმობა—ქართულ უნივერსიტეტისაგან გრიგოლ ვასილის ძე [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3071 (ა) 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული სენაკის მაზრის რაიონულ აღმასკომიდან და ნუსხა ქ. თბილისის მე-2-რე სამილიც. უბნისაგან მოცემული ალფესი ნიკოლოზის ძე თულაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3065 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, საავადმყოფო ბარათი და კავშირის დროებითი წიგნაკი (იგივე თედორე). არჩილის ძე [illegible] სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3066 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული მილიციის სამართველოს მიერ ალექსი გიორგის ძე ბენდელიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3073 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა სამსახურის შესახებ სათემო სამმართველოსაგან მოცემული; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან მოცემული მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით; ჩემი ბავშვის მოწმობა დაბადების შესახებ. ივანე გიორგის ძე თოფურიძე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3074 1—1